ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ვაჟა ეჭრისელი

# კოლხური ფსალმუნები

ტომი 15

2020

მთ. რედაქტორი **ანა კალანდაძე**
პოეტი, საქართველოს მწერალთა და მეცნიერთა აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-822-9 (15 ტომი)

* * *

**ვაჟა ეგრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აგრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – გილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

## პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია"

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შევადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს..."

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების" ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „ბაჯაღლო", ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია", არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის" მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების" იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია".

**გულნაზ ხარაიშვილი**
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

**„გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“**

**ა. პუშკინი**

## წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელი სულიერად შენივთებულია ზღვასთან, ზღვა მისი მხატვრული აზროვნების დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც უხვად მოედინება მომხიბვლავი სახეები, ფერები, მეტაფორები. პოეტი საოცარი იდუმალებით გრძნობს ზღვის ენერგიას და ეს განცდა თითქოს თანდაყოლილი, ხორციელი და განუშორებელია, წარმოაჩენს ძალუმი მონახაზებით გამოკვეთილ პეიზაჟებს, რომლებშიც სიამაყეცაა და ზღვის ჯადოსნური მშვენიერებაც.

„...ვაჟა ეგრისელის შემოქმედება მე მაგონებს განთიადის შუქით გაცისკროვნებულ ზღვას, სავსეს უამრავი თვალ-მარგალიტით, ხოლო მისი ავტორი თავად „შორეული ლეგენდიდან მოსულ კოლხად“ წარმომიდგება“. (*შალვა მჭედლიშვილი,* მწერალი.)

ვაჟა ეგრისელის პოეტური სული უდიდეს სიწმინდესთანაა ნაზიარები, საიდანაც ადამიანური სითბო და სიყვარული თვალისმომჭრელ სინათლესავით აშუქებს:

„მზის შესაყრელად მოდიოდა გუნდი
მთიებთა,
ცის და სინათლის ჩუმი ღაღადით.
იდგა სიცოცხლე და სიხარული.
მთვარის ჩქერალში –
სივრცეები ხელ-პირს
იბანდნენ,
რომ გამთენიის ვარსკვლავების
ატყდა ჟღარუნი,
მე დავიბადე!“

რაც გინდათ ის დაარქვით ამ ლექსს, მინიატურული, ესკიზური, გრაფიკული, ფერწერული სიცხადით დახატული სურათი, მთავარი მაინც სულ სხვაა, აქ ჩანს პოეტის უნარი დამუხტოს მკითხველი დიადი ემოციით, იდუმალი ძალით და ბუნების უნაპირო სიყვარულს, სიმშვიდეს, სინატიფეს და სიმშვენიერეს აზიაროს.

საერთოდ ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ბუნების ძალთა გაპიროვნება და ინდივიდუალიზებაა. ლექსი მასთან მთლიანად

ბუნებისმიერი პროცესია. მისი პოეტური ხილვა ბუნებაში გამოვლენილი სულის ირგვლივ ტრიალებს და ამ სულს ამეტყველებს პოეტი: „ვხედავ ქარის გალობაზე ამაღლდნენ ზღვები“ ან „მზე რომ ჩავა, დღე დაღლილი გაშლის ღამეს და დილამდე დაიძინებს“. „ზღვა ჩემი გიჟი ორეულიაო“ – ამბობს პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში. ზღვის მღელვარება, ზღვის ძლევამოსილება ნაირგვარი ემოციების წყაროა მისთვის, უფრო მეტიც, იგი პოეტს თავისი სულის განსახიერებად მიაჩნია.

ზღვა ვაჟა ეგრისელის პოეტიკის ამოსავალი წერტილია და სწორედ „ფეხისწვერებზე შემდგარი ზღვა“ უდევს საფუძვლად მის სახეებსა და მეტაფორებს, მის მთელ შემოქმედებას. ჩემი ღრმა რწმენით ესაა ვაჟა ეგრისელის დიდი პოეტური აღმოჩენა და გამარჯვებაც.

ზღვის ხატოვანი წარმოჩენის საოცარი სურათია ვაჟა ეგრისელის ლექსში:

„ზღვა დავიურვე ბედაურივით
და ხელი მიდევს ქარით
დახრულ ღელვის აღვირზე,
ვარსკვლავთა მტვერი ეფინება
ფიქრებს ჭირხლივით,

ღამე ერთია,
მე კი ასჯერ გამომაღვიძებს,
ქარიშხლის ტოტზე მიბმული ზღვის
ცივი ჭიხვინი“.

ზოგჯერ ზღვა ლამაზი ქალის გრძელი კაბის კალთადაა წარმოდგენილი, რომელიც ყველაფერს მიათრევს, რასაც კი გზად წამოედება. ეს საოცარი მეტაფორული სურათია.

ხოლო ერთ ლექსში დახატულია მეტად შთამბეჭდავი სურათი: „ნაპირთან ტალღა ფეხაკრეფით მიდის და მოდის და თოლიების ფრთებზე როკავს წვიმა მკათათვის და აღსავლიდან ვიდრე – დასავლით, გადებულია ცისარტყელას ფერადი ხიდი და დღე დაღლილი ფრთხილად გადადის“.

ვკითხულობ ზღვის თემაზე დაწერილ ლექსებს და ძალუმად ვგრძნობ ზღვის სუნთქვას, ბორგვას, ზვირთთა ნაირსახეობას შერწყმულსა და შენივთულს ადამიანის ყოველდღიურ ფიქრთან და საზრუნავთან.

ზღვის თემა ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძლიერი და გამორჩეული შენაკადია, რომელზეც ღირს დაფიქრება. საოცარია ვაჟა ეგრისეული თვალთახედვა, როცა:

„ზვირთთა ჯილაგი მოიწევა შურისძიებად,
არა სურს, ჩვევას რომ უღალატოს

და მზე ამოდის მუქარით და...
სტოვებს კალაპოტს.
მიწას კი მშვიდად უწყვია გულზე
მთების ვეება მჯიღები და ზღვას
რისხვით უმზერს“.

პოეტისთვით ზღვა სიცოცხლის შემოქმედია, რომელიც დაღუპულთა სპეტაკ სულებს სათუთად ინახავს, მის ტალღებზე დაცურებული მზის სხივები ვერცხლის მძივებად ასხმულა. ზღვა აღავლენს სულს ცაში ლოცვად და პოეტი მთელი არსებით განიცდის ამ საოცარ სურათს და ზღვის ცქერით აღტაცებულია გასაფრენად.

„ვითარცა ზღვაში დაღუპულთა სპეტაკი
სული –
ღამემ მთოვარის შუქზე გაფინა –
მოწყენილი და ფერმკრთალი ნისლი.
ზღვას კი სივრცეში –
ფასკუნჯივით უნდა გაფრენა,
და ფრთებს ისწორებს...
უსაზღვროა სურვილი მისი“.

ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია მართლაც ზღვის მღელვარების მსგავსია, მოუსვენარი, ძიებ-

ბით, განცდებითა და ფიქრებით სავსე. ადამიანი ზღვისაგან განუყოფელია, ზღვის განსახიერებაა:

„ეს მე ვარ, ზღვაო შენი ხატება,
ძლევამოსილი შენი სწორფერი,
ყველა ქარიშხალს, ყველა გრიგალს,
აღემატება
პოეტის სული სიმყუდროვის უარმყოფელი.
ეს მე ვარ, ზღვაო, შენი მოდელი,
ცა მაფენს კდემით ნისლის ბადეებს,
მერე დღეები ბავშვებივით უკან მომდევენ
და საუკუნის მძიმე ხელებს
ზურგზე მადებენ.
შენში დავმარხე ყველა ხატი და სალოცავი,
როდესაც წიგნში ტალღამ
თვალი კვლავ გაახილა.
მიწაზე ვდგავარ, ზღვაო, შენი
ძეგლი ცოცხალი
და მომავალი გრიგალების მესმის ძახილი“.

ამ ლექსით ვაჟა ეგრისელი წარმოგვიდგება ინტიმური სურათის დახატვის ბრწყინვალე ოსტატად. სიყვარულით დაშანთული პოეტი ზღვის ტალღებს კოცნის, როგორც მშობლიურ მიწას, რამეთუ ზღვაშია ჩამარხული პოეტის ყველა ხატი და სალოცავი.

ზღვა საპასუხოდ გულში იკრავს – „უსაზღვროება და სიცოცხლე რომ შეიყვაროს“.

მაგრამ უარყოფილი სიმყუდროვის შედეგით პოეტი ზოგჯერ აღფრთოვანებულია, ზოგჯერ იმედგაცრუებული, სევდით მოცული, რადგან სწამს, რომ რაც არ უნდა იღონოს, მაინც ის მოხდება, რასაც ბედისწერა უმზადებს:

„ღამის ბილიკით მოეშურება,
გვინდა,
 არ გვინდა, მაინც გვეწევა,
დღის ნამუხლარზე, გაუვალი ღამის მკმეველი,
დამთრგუნველი და დამანგრეველი,
ჩვენი სიცოცხლის დაცამლეწელი“.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ლექსით ვაჟა ეგრისელი მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ქმნილებებს ეხმიანება. ბედისწერის გარდუვალობაზე ამბობდა ჰომეროსი: „თავს გადახდება ყოველივე, რაც ბედისწერამ გაჩენის დღიდან დააბედა“. ამასვე იმეორებს რუსთაველი: „არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა“ ან „არვის ძალუძს ხორციელსა, განგებისა გარდავლენა“.

ბედისწერის გარდუვალობას გაურბოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა უსასრულობისაკენ მიაჭენებდა თავის მერანს:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი“.

და მაინც ერთ ჭეშმარიტებას უნდა გაესვას ხაზი, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თითქოს ყველაფერი ჩვენი სულის შესატყვისია, შესატყვისია კი არა, დავინახეთ ჩვენი სული თხემით ტერფამდე და ისიც ვიგრძენით, თუ როგორი მშვენიერი ყოფილა იგი. მის ლექსებში ხომ ჩვენი საფიქრალი, ჩვენი საზრუნავი და საოცნებარია გაცხადებული.

ვაჟა ეგრისელის ზღვის ტაძარში მუდამ „ზვირთთა ლურჯი გალობები ისმის“. დიახ, პოეტის სიდიადის და ზღვის იდენტურობის ჭეშმარიტი სურათია შემდეგ სტრიქონებში:

„ზღვის ტაძარში,
საღამოს თუ დილით,
ზვირთთა ლურჯი გალობები ისმის
და ლოცვად დგას სოხუმი და გაგრა“...

პოეტი ზღვის ჭეშმარიტი მეუფეა, რომელსაც ისე აქვს მომართული თავისი გემის აფრები, ძალუძს გადასცუროს და გავიდეს ცხოვრების ზღვის გაღმა. ზღვა უპირველესი და უდიდესი საიდუმლოებაა და... მიცურავს პოეტი ჟამთა ბობოქარ ზღვაში, მიცურავს

გრძნობებით, ფიქრებით, ნათელი აზრებით განათებული:

„შორიდან მოსულ სველ-სველ ხომალდებს,
ქარი უშრობდა მოქათქათე
აფრის პერანგებს.
ზვირთთა კიბეებს აღმა ავყევით.
მზეს კი ცივ წყალში ჩასვლა არ სურდა,
ებჯინებოდა კლდეს იდაყვებით“.

ან:

„ღამით დახურულ სიმყუდროვეში –
ზვირთთა ალერსით გადაღლილი
და დაქანცული,
წევს სანაპირო უზრუნველად და
არხეინად.
ხოლო მთვარე კი როგორც
ქალწული,
კდემით მიჰყვება ვარსკვლავების
მწვანე ხეივანს“.

ამ ლექსებში აფეთქების მეტამორფოზები გაიელვებენ. ვაჟა ეგრისელის შემოქმედების ნიადაგი, როგორც დიდი ვაჟა ფშაველასი, არის ჩვენი თვალწარმტაცი დედამიწა, პოეტი ცდილობს თავისად აქ-

ციოს ის განცდები, რომლებიც ზღვის გარშემო ტრიალებს და შექმნას ახალი თავისებური სამყარო, როგორც სიცოცხლესთან შეგუების ერთადერთი გარანტი. თავად პოეტი კი ის ელვანაკრავი შემოქმედია, რომლის ამაღლებული და გამარჯვებული სული სასწაულებს ახდენს. მისი ლირიკული პერსონაჟი მეოცნებეა, სავსე ვნებებით, სურვილებით, სინათლით. ზღვა – პოეტის სტიქიაა, შინაგანი ძიებით ამაღლებული, შინაგანი მიგნებით განმტკიცებული. პოეტის მძაფრი სურვილია:

„მზეს უნდა გავყვე დასავლეთისკენ –
იქ ზღვა მიმელის
ჩემო სამხრეთო,
რადგან მოსვლიდან
უამრავი მადევს ზღვის ვალი.
და როგორც წინათ,
სიყვარულით
მინდა ჩავხედო
ჩემზე ფიქრებით ჩალურჯებულ
ზღვის დიდრონ თვალებს“.

ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდომელი ლირიკა არის ერის კულტურული ცხოვრებისა და სულიერ ფასეულობათა აპოლოგიის ნიმუში. ქართველი კაცის შრომა, ბრძოლა და მოღვაწეობა მის პოეზიაში ფო-

ნია იმ დიდი ღირებულების დასამკვიდრებლად, რასაც ქართველი ადამიანი ქმნის, ამ პოეზიის პათოსი კი ბრძოლაა ნათლის დამკვიდრებისათვის, სწრაფვა გმირულისა და ამაღლებულისაკენ.

დიახ, ზღვა პოეტისთვის ურთულესი ძიებაა, პოვნაა სილამაზისა, სწრაფვაა მშვენიერებისაკენ. მას, როგორც პოეტს ხელეწიფება ზღვის ბორგვაში, ზვირთთა დინამიურობაში ფაქიზი, საიდუმლო ლირიკული განცდების დაჭერა და ამ განცდების პოეტურად, მთრთოლვარე სტრიქონებით ადამიანისათვის გასაგები ენით გადმოცემა. უფრო მეტიც, ვაჟა ეგრისელის ზღვისადმი მიძღვნილ ლექსებში ჩაბუდებულია მოულოდნეილ ტრაგიზმით გაჟღენთილი და სულის შემძვრელი ისეთი განცდები, რომლის იქით ადამიანს სათქმელი აღარ რჩება. შეუზღუდავია ვაჟა ეგრისელის პოეტური ფანტაზია. იგი თავისებურად და პოეტურად წარმოგვიდგენს ზღვასა და მის სტიქიებს. ლექსში „გზის დასასრული" დიდებული პოეტური ფრაზით ჩინებულადაა გამოხატული ცნობილი ჭეშმარიტება:

„ცის ლურჯ ბუდეში ჟივჟივებენ
ჩვენი დღეები –
მზიან იმედებს
და ვარსკვლავებს
ისევ კენკავენ,

ზღვა და სიცოცხლე, ვით აროდეს
ისე მოშივდათ,
რადგან ერქმევათ მალე წარსული,
რადგან ჩამავალ მზის –
თეთრი კოშკიდან,
ვითარცა ღამე მოსჩანს ჩვენი გზის
დასასრული“.

ვაჟა ეგრისელის ლექსები გადმოსცემენ სულის უნაზეს მოძრაობას. აღსავსენი არიან ადამიანური სითბოთი და სიფაქიზით. თავად პოეტი გონების ჭეშმარიტი აპოლოგეტია და ყველგან ცდილობს გვიჩვენოს მისი უპირატესობა.

როცა ვაჟა ეგრისელზე ვსაუბრობ, უნებურად ფრანგი პოეტი პოლ ვერლენი გამახსენდა: „მე მგონია, რომ მკითხველმა ჩემს ლექსებში უნდა იგრძნოს ჩემი ცხოვრების გოლფშტრების დინება.“ ეს არის დინება ყინულოვანი და მდუღარე წყლისა, რომლის პოეზია მართლაც გოლფშტრების დინებასავით შეერია ჩვენი ლიტერატურის დიდ ზღვას...

„...ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პლასტებიდანაა აღმოცენებული და ქართული სულის მარადიული ყივილია, მიუწვდომელი მეტაფორიული აზროვნების ნიმუშია...“. (*ალექსანდრე კუჭუხიძე,* აკადემიკოსი.)

პოეტის ნებისმიერი პაწაწინა ლექსი უდიდესი ადამიანური გრძნობებითაა დამუხტული. ის გხიბლავს და აღგაფრთოვანებს არა მარტო მეტაფორებისა და ეპითეტების სიმდიდრით, რითმების სინატიფითა და სიტყვაწყობის თავისებურებით, არამედ თავისი ბიოენერგეტიკული დაძაბულობითა და ექსპრესიულობით, სიბრძნითა და ფილოსოფიით.

პროფესორი ბადრი სალუქვაძე ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „...ამას წინათ, გურიაში, ჩემს კარგახანს უნახავ კარ-მიდამოს დანახვისას გონებიდან ამოტივტივდა და ტკბილად ჩამეღვარა სულში, რომ აქ:

„ფერად სიზმრებში
თბილად ჩაკრული –
ჩემი ბავშვობა
წევს უზრუნველი".

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში არის რაღაც მიუწვდომელი, მაგრამ ღვთიური ძალა, რომელიც წამით გაჩერებს და მოწიწებითა და თაყვანისცემით გავსებს"...

„ქარი –
მოცარტი,
ზღვის ვეება პიანინოზე,
თმაგაწეწილი უკრავს რექვიემს".

. . .
კავკასიონი გაწოლილა ბნელში
სფინქსივით
და ყინვის დამზრალ ტორებს ილოკავს“

ან:

*
„სანაპიროზე წევს ივლისი –
ტანაქერცლილი
და ცხელ ქვიშაზე ხარხარებს ხვატი.
ნაპირთან გდია პატარა ნავი,
ვით აფროდიტეს
ცისფერი ქოში.
მიწის კალთაში კვლავ უდევს თავი
ზღვას და
ნაპირის სველ სახეს ლოშნის“. –

ამ სტრიქონებში შესაშური ნიჭი და წარმოსახვის საოცარი ტალანტია წარმოდგენილი. მართლაც რა დიდი ენერგიაა საჭირო, რომ ასეთ პაწაწინა ლაკონურ წინადადებებში ასეთი გიგანტური, თვალხილული გრძნობები ჩაატიო. ვაჟა ეგრისელს უყვარს მოელვარე ფერები. ბუნება ხომ მის პოეზიაში მზის ენერგიით სუნთქავს. ეს ძლიერი ოპტიმიზმი და დიადი ენერგია ისეთივე ძალით გადმოდის ჩვენ-

ში, რომ ეჭვიც არ გეპარება პოეტის გულწრფელობაში, რომ პოეტი კვლავაც მშობლიური ბუნების წიაღიდან გვეძახის, მისი მშვენიერებით გვხიბლავს და გვაოცებს, რადგან როგორც თვითონ ამბობს: „ბობოქარი ზღვა – გულად უცემს“...

ვაჟა ეგრისელის პოეზია მკითხველის წარმოდგენაზე მოქმედებს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მისი სახეები და მეტაფორები ჩვენ გვამახსოვრდება უცებ ან სამუდამოდ:

„ანაკლიასთან სიმღერები ისმის გურული,
ქათქათა ფრთებით ბანს ეუბნება
ზღვა –
თოლიებით გადახურული“...

გულწრფელობა პოეტის უდიდესი ღირსებაა, იგი ბუნებასთან წილნაყრობიდან, სამყაროს ჰარმონიისა და მშვენიერების შეგრძნებიდან, ცხოვრებისა და შემოქმედის ღრმად ჰუმანური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს.

ვაჟა ეგრისელის ცხოვრება ამ მარადიული სილამაზისა და ჰარმონიისაკენ, მისი შეგრძნებითა და გაცნობიერებით თავდავიწყებისაკენ სწრაფვაა. ამ სწრაფვაში უდიდესი სიბრძნეა, რომელიც ღრმა ცხოვრებისეული ფილოსოფიითაა ნასაზრდოები. აქ ჯადოსნური მეტაფორების სამეფოა, სადაც მაძიებელ

გონებას სტიმულს აძლევს ჭეშმარიტების აუცილებლობა, შედარება და თავისუფალი რეფლექსია თავიანთ თვითმნიშვნელობას კარგავენ, გარდამავალ და საცდელ საფეხურებად იქცევიან:

„როცა ლოდინით დაღლილ ნაპირთან
გაიწკრიალებს გულად ზვირთთა
ძველი მოტივი,
მოვა საღამოც – ყვითლად მოთხვრილ
მთვარის მოლბერტით
და უზარმაზარ ზღვის ლურჯ ტილოზე,
ცას დაახატავს –
მოყვავილეს –
ატმის ტოტივით“.

აქ ყველაფერი ვაჟა ეგრისელისეული პოეტური ძალისხმევით სუნთქავს. ყველაფერზე აქ სიცოცხლე და უკვდავება ბატონობს. მერე და მერე მოყვავილე ატმის ტოტივით დახატული ცა, ჩვენს წარმოდგენაში ვაჟა ეგრისელისეული მეორე ცას უკავშირდება – ცას ვარსკვლავებით დასახლებულს – სიცოცხლის ჭეშმარიტ სიმბოლოს, რამეთუ:

„ჩვენ ამოვდივართ ფესვებიდან
ჩვენი წინაპრის,
რადგან მიწაში წინაპრები უხვად თესია“.

ზღვა და ვაჟა ეგრისელი სიმბოლურად გაერთიანდა ჩვენს ლიტერატურაში. ზღვა და ვაჟა ეგრისელი განუყრელად დაუკავშირდა ერთმანეთს, თითქოს საქართველოს ძირძველმა, და ჯადოსნურმა კოლხეთის ბუმბერაზმა სამყარომ დაჰბადა თავისი მსგავსი შეუპოვარი და გმირული სულის პოეტი.

**ციალა მესხია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია*
*(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*



**ქრისტეს ბოლო სიტყვები –**
**"ელი, ელი, ლიმა საბაქთარი"*.**

სანამ სიცოცხლის კარებს
მოვხურავ
(თითქოს და „ძმარი" არ დამელიოს)
ჯვარზე გაკრული გიხმობ
კოლხურად –
* „ნუ მიმატოვებ, მამა ჰელიოს!"

1999

## დრო – ენგურივით მარადმედინი

ოქროს მთიებით გადაწინწკლული,
ცას ხელთუპყრია მთვარის მერდინი
და ღამეები სიკვდილს გვაჩვევენ..
დრო –
ენგურივით მარად მედინი,
ვეცადე,
მაგრამ ვერ შევაჩერე!

2014

## ჟამი უჟამო

ვერ მიენდობი წამითაც,
„უჟამო ჟამი“ ვერაგია.
შენი „კოლხური ფსალმუნები“,
ქაჯავეთში –
უხილავის ხელით ნაქსოვი
ჯაჭვის პერანგია.

1993

## მედიუმი

ყოფნა,
არყოფნა,
აქ უფლობს ორი...
სიცოცხლე – წამია და წარმავალი...
სიკვდილი –
წევრია სხვა ამალის.
და... ცოცხალთა და მკვდართა შორის,
მედიუმია* –
შუამავალი.

1983

---

* მედიუმი (ლათ.) – პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან“ ამყარებს ურთიერთობას

**33**

დრო ადგათ მარად ნათელი,
    დღე არ ეცვლებათ ღამეთი, –
    ცაში უფალთან წვეულებს.
ვჭვრეტ: ქრისტეს ოცდაცამეტი
    წელი,
        ვითაარ მიითვლის,
მომავალ ათასწლეულებს...

1971

## ალკეოსი,
## საფო,
## ანაკრეონტი

კოლხეთმა კი,
წარბი – კავკასიონის,
რისხვით მაღლა აზიდა!
თვალებს ახელს ლამაზი ტბა – მეოტიის.
პონტოს ტალღებს ხმები მოაქვთ
ფაზისთან:
ალკეოსის[1],
საფოს[2],
ანაკრეონტის[3].

1969

1,2,3 – ბერძენი პოეტები (ძვ. წ. V – IV სს.)

## ერთგულება

სამშობლო სხვაა...
სხვანაირი ალერსი უნდა!
სხვაა სამშობლოს ზღვები
და მთები.
შეხედეთ ფრთოსნებს,
თბილი ქვეყნისკენ
ვით ფრენენ გუნდად,
მე და ბეღურა აქ ვრჩებით და...
სიცივით ვკვდებით.

2014

## სიცოცხლე

სიკვდილი უტყვი და მდუმარეა.
მზე – ცეცხლისთვალება,
ღრუბლებში მოჩანს წავად*.
სიცოცხლე?! –
იგი სტუმარია,
წამით შემოივლის და...
წავა.

1970

---

* წავი – თახვი.

***

სადღაც ფეხის ხმა ისმის ქარიშხლის,
ჩუმად მილალავს ზვირთებს –
ზღვის ფარას –
და გამოუტანს ალბათ განაჩენს!
ცა კი ხანდისხანს,
ვით სარცხვენელს,
მზეს გამოაჩენს,
მაგრამ იმ წამსვე
ლეღვის ფოთლის
ფერით იფარავს.

1976

# ვით აქილევსმა

თავს ზოგჯერ ჩუმად გახსენებს
ლექსი,
ისე, ვით მაშინ, აქილევსს ქუსლი.
და საბრძოლველად ხმალს კვლავ
ილესავ,
რომ „დიდი ქვეყნის“ –
ხილვად მოქუსლო,
მზის ფარით ხელში,
ვით აქილევსმა.

2011

## ვით მენცარი დანიელი

დავიწყების სარეცელზე
მიძინებულ ქალდეველთა
სულს უფალი გააღვიძებს
(რადგან უხმობს და მიელის).
და იყვირებს –
ქალდეურად,
ვით მენცარი დანიელი.

1978

***

უფლის ხელით დარწეული,
მშობლიური ხეთა ორო*,
და სამოთხე ნუ მეღირსოს!
ქვეყნად წუთი თუ მეცხოვროს,
უკოლხეთოდ!
უეგრისოდ!

2014

* ორო (მეგრ.) – ჩრდილი.

## ყაყაჩოებიანი ფერდობი მანგლისში

მიმწუხრია...
სდის ალგეთი,
და მერცხლებით კვლავ
ერთობი, –
ფრთებს რომ ტალღებს აყოლებენ...
იქვე წყლის პირ –
წევს ფერდობი –
ავად –
წითელ ბატონებით.

1977

## ვიკინგების ხომალდივით

ცისქვეშ ძველებურად მისდევს
ასწლეულებს –
ასწლეული,
მგოსნებს მტვერი რომ ადინოს.
მაინც ზოგ-ზოგ „უფლის
რჩეულს“,
ცხვირი ზე აქვს აწეული,
ვიკინგების ხომალდივით.

2002

## მოყვავილე ბროწეულის ხე ზღვისკარად

რაც თავი ახსოვთ პონტოს და
ფაზისს,
აქ ბინადრობდა ჩემი გვარ-ტომი.
რა ვქნა!
მე კოლხეთს ვერ ვუპატრონე!
ზღვისკარად მდგარი ბროწეულის ხის
ტანზე ვარდისფრად
გამოუყრია,
ჩუტყვავილას თუ წითელ ბატონებს.

1969

# ნიკოლო მაკიაველი

ფლორენციის ძველ სანახებს,
სიძულვილი ადგას გორად,
სიყვარული აკლია ველს,
ისე, როგორც „მანდრაგორას[1]“
და ნიკოლო
მაკიაველს[2].

1969

[1] – „მანდრაგორა“ – მაკიაველის პიესა
[2] – ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი მწერალი, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი (1469–1527)

## პოეტია?! რას ბრძანებ!

მას ჩუმ-ჩუმად ბაძავენ,
რადგან მისი ფიქრები
ცის ვარსკვლავებს ელტვიან...
პოეტია?! –
რას ბრძანებ!
ის პოეტზე მეტია!

2014

# ისევ მოლოდინი

მომავალი გმირთა-გმირი,
მუცელში ჰყავთ მთებს –
ორსულებს,
რომელიც მტერს მუსრს გაავლებს,
ვით მითიდან გადმოსული –
უსუპი და ამირანი,
ამბრი,
ბადრი,
სეფედავლე.

1989

***

ეჰა,
ჩემო სამშობლოვ!
სიყვარული ულევი –
მიკიდია აბედად...
სანამ შენ მეგულები,
სიკვდილს როგორ გავბედავ!

2014

***

შორეულზე –
შორეული,
ბილიკებით მომავალი,
პონტოს სანაპიროზე,
რომ ჩამოდგა აისი,
იმ აისში შენეული
„ფსალმუნების,,
ხმა ისმის...

1997

***

მწუხრი ცის ძელზე,
უსვამს შალაშინს,
ცას ვარსკვლავების ჯაჭვი
აცვია.
და მიტოვებულ პირას ჭალაში,
ვიღაც მოხუცი „მწყემსი ქაცვია“,
ნახირთან ერთად თხებს და
ერკემალს
ჩვენს ბავშვობაში მიერეკება.

1966

***

ჩემს თავზე შავმა ღრუბლებმა,
          ითავცემეს და
                    იტირეს!
რადგან მზე ჩაქრა იმედის.
დღეებმაც ბევრჯერ
                    მიმასიკვდილეს,
მაგრამ ბოლომდე ვერ გამიმეტეს!

2015

***

წინაპართა ნაყოფს იმკის
　　　　და ანდებში ვილაც ინკის
　　　　ფიქრი უფლისაკენ ილტვის.
და ერთადერთ თავის პირმშოს
　　　　მსხვერპლად სწირავს
　　　　მზის ღმერთ –
　　　　　　　　　　　　ინტის.

2001

# ამუნდსენ და ნობილეს

შორით,
სადღაც პოლარეთს,
დაქანცულებს პოვნის გეშით,
ცისკენ ხელაპყრობილებს,
ვჭვრეტ: ყინულის
მკრთალ სარკეში –
ამუნდსენს[1] და ნობილეს[2].

1971

[1] – რუალ ამუნდსენი – ნორვეგიელი მოგზაური და მკვლევარი (1872 – 1928)
[2] – უმბერტო ნობილე – დირიჟაბლების კონსტრუქტორი (1885 – 1978)

# მარტყოფში

ლოცვით,
ათასწლეულების
უდაბნოში ეხეტე...
და დღეს უხმობ მარტყოფში,
„მარტოდმყოფელ“ –
წმინდა ბერს,
იოანე მესვეტეს (VI ს.)

1964

## ხმელთაშუაზღვისპირეთი – VIII ს.

ცისქვეშეთში,
კეთილთან,
„ბარბაროსებს“ რა დალევს!
ვჭვრეტ:
რომისკენ მიმავალ –
ოსტგუთებს[6] და
ვესტგუთებს[2],
ლომბარდებს[3] და ვანდალებს[4].

1989

---

1,2,3,4 – გერმანელი დამპყრობელი ტომები

## რომი, V საუკუნე

მორჩა!

გზები რომისკენ

ახლა უკვე არ მიდის!

უკვე დადგა ამინდი –

გუთისა და ვესტგუთის,

ანგლების და

საქსების.

ვახმე! რომი სულს ღაფავს,

კვდება და

იქსაქსება...

1972

## მახვილი მესიის

მზე „ახალი ათენის“
და „მახვილი მესიის“ –
არ ჩანს მეფე დავითი
და ამიტომ ნიადაგ,
უფლის რწმენით მოსილებს:
ვუხმობ გრიგოლ ხანძთელს და
იოანე ზოსიმეს.

1989

***

უძველესი კოლხეთის
წარსულიდან გასული,
კვლავ წარსულში ბრუნდები,
გაცხელებს და
გაციებს...
დგება ჟამი უჟამო –
რეინკარნაციის.

2010

# ძე და შვილი ამონის[1]

პოეზიის მაღალ ღმერთს,
უფალმა შენ გამონა...
და გაჰყურებ –
სამყაროს,
ისე, ვით ალექსანდრე[2] –
ძე,
და შვილი ამონის.

2009

[1] – ამონი – ეგვიპტის უზენაესი ღმერთი
[2] – ალექსანდრე – იგულისხმება მაკედონელი.

***

დრო ყოფილა,
როდესაც,
მეფეც, იმპერატორიც
და დიდი ბრბო რეგვენთა,
ვითარც ქრისტეს ებრძოდა,
მუჰამედის „ყურანსაც“,
„ბიბლიას“ და
„რეგვედას“.

1973

## სერენადა

მოსულს წარსულის ბილიკებით,
უსმენ ძველ კოლხურ
სერენადას
და ას ერგასიც მიილია.
შენი პოეზია –
უხმო სიმღერა და
უცრემლო ტირილია.

1967

***

წყვდიადთან ომებით დაღლილი,
დღეები ოფლს მზეზე
იშრობენ,
ჩვენც ასე...
ო, არა უშავს რა!
კაცსა და ღმერთ შუა –
სულ იდგა გუშაგად:
ყოფნა და არყოფნა,
ღამე და სიშორე.

1979



## ალფავიტი

"...უძველეს ფინიკიურ ალფავიტს, ასევე
პელაზგურს უწოდებენ".

ა. ნოგოვიცინი

კოლხეთია სიცოცხლის
აკვანიც და
საფლავიც.
და თაყვანს სცემს სამყარო,
ფინიკიურს კი არა,
ჩვენს –
პელაზგურ ალფავიტს.

1971

***

უჩონჩხოს და უგულოს,
არაფერი გაოცებს,
არც ცის აურზაური
და არც მიწის ქაოსი.
გაკრთობს ყვავის სიშავე
და ხმა ძერის ქარდების.
საიდანაც მოჟონავს –
„მალე შენც განქარდები!“

2010

## ნოე

ათასწლეულების მერე,
მიძინებულ მილეთს უნდა,
დაურღვიო სიმყუდროვე,
რადგან გვერდს ვერ აუვლი,
პელაზგ,
ატლანტიდელ ნოეს*
და „წიგნს დღესასწაულის“.

1966

* „ნოე – ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა, ვინც ატ-ლანტიდან გამოვიდა“ (ათი ათასი წლის წინათ ვ. ე.) „დღესასწაულის წიგნი„

## ორფეოსს

შენი ხმის გაგონება
მილიონად მიღირდა
(ალბათ ღმერთიც შემარგებს).
ხუთი ათასწლეულის სიშორიდან,
მიღმიდან
გიხმობ ღმერთკაც ორფეოსს,
ძეს ეგრის თუ
ეაგრის.

1963

***

კვდება და ცოცხლდება
ყოველი ნაყოფი,
მიწაში ჩაფლული
და ცამდე ასული.
ამიტომ ამ ქვეყნად –
ყოფნას და არყოფნას –
არა აქვს დასასრული.

2004



***

მთელი ღამე ვარსკვლავები
დასტირიან –
„მთვარის კუზოს“,
ელვაც ზევრჯერ აიზურდა.
და... შენც,
იგავებით უზნობ,
ვითა ქრისტე და ვით ზუდა.

1971

***

პირს ვერ ვუხსნი წარსულს დანით,
მთვარეც დუმს,
ვით მედიუმი,
მაინც ციდან ყოველ ღამით
ცრემლნარევი მესმის ჩქამი:
ვილიე დე ლილ-ადამის,
ქაბირ...
ჯალალ ედ-დინ
რუმის.

1973

## მზე და მთვარე ფანჯრებია

ასეა,
ამქვეყნად მოსულთათვის,
დღე – ძიძაა და
ლამე – გადია.
მზე და მთვარე კი ფანჯრებია,
საიდანაც მიცვალებულთა
სულები,
მარადისობაში გადიან.

2001

## ფსიქე

შენთან გვსურს,
მაგრამ საწყალ მოკვდავებს
გვინდა,
არ გვინდა,
აქ გვიწევს მოცდა.
თუმც ბევრჯერ შენი საუფლო
გვიქეს.
და კიბეებით აჯის და ლოცვის –
შენთან ამოდის ეს ჩვენი
ფსიქე*.
2014

* ფსიქე (ბერძ.) – სული

## მუშაირა

ოქროს ფრთებით პარნასზე
        დვრიტა შენ აიტანე
        და შენ გათრობს
                        სურნელი,
კოკორ ვარდის შირაზის.
აი, ახლა,
        გულდაგულ,
        მცირეთ არა,
                    ტიტანებს,
        იწვევ მუშაირაზე.

2013

## ფსალმუნი და პეონი

პონტოს სანაპიროზე –
კოლხურ ათასწლეულებს
მზის აკვანი ურწევ
და ავსულებს ეომე...
მეცხრე ცამდე უწიე –
ფსალმუნიც[1] და
პეონიც[2].

1992

[1] – ფსალმუნი (ბერძ.) – სახოტბო რელიგიური საგალობელი;
[2] – პეონი – ღმერთების საგალობელი

## ადერკი

„მირდატ I-მა, იგივე ადერკიმ გააერთიანა – „ყოველი ქართლი და ეგრისი“.

ქართლის ცხოვრება.

კოლხეთიდან მოსული,
„შენ ხარ ქრისტეს მხედარი“,
ვით ცოტნე და გუბაზი,
ფარსმან ქველი,
ადერკი.
მათ ამქარში შედიხარ,
რუსთველივით ამაყად...
და არა...
ქედდადრეკით.

2014

# ქარიტები

ყოველდღე მოაქვთ მზის გვირგვინი
და დაფნის რტოები...
ჩემი მფარველი ქარიტები*,
წამით არ მტოვებენ, –
ხიფათს და ავსულებს
მარიდებენ.

2001

* ქარიტები (ბერძ.) – მხიარულებისა და სილამაზის ქალღმერთები.

***

მიღმა სინათლის ათასწლეულთა,
ლოცვა,
ვედრება ისმის წარმართთა.
ალქიმიკოსებს სურთ აქციონ
ოქროდ ქაოსი,
თუმც მათ იციან და არ
აოცებთ:
– სამყაროს ჩვენსას –
ღვთაებრივი გონი
წარმართავს.

1989

## მდენარი

წარსულიდან მდენარი* –
შვიდ ტოტს მოჰგავს
მდინარის.
ვერცხლითაა ნათალი.
ალბათ,
სადღაც შორეთში,
აქვს ლამაზი სათავე.

1973

---

* „მდენარი“ – ძველ ქართული, შვიდტაეპიანი, თექვსმეტმარცვლოვანი ლექსის სახეობა.

***

მრისხანე ჟამი პრეისტორიის,
სანამ ჟანგიან კარებს მოხურავს,
შავი ზღვის ტალღებს
რომ შეეძლოთ,
წინანდებურად,
ალბათ ენასაც ამოიდგამდნენ,
ისაუბრებდნენ, ვით მედეა,
კვლავ ძველ კოლხურად.

1968

# ლუკრეცია და ტარკვინიუსი

აჰა,
ხუთასი წელი გავიდა,
რომ არ გასვენებს
მნათთა ციალში,
ადამის ძეთა პლიუს,
მინუსი.
სიპატიოსნე – ლუკრეციასი*
და სიავკაცე –
ტარკვინიუსის.

2012

---

* ლუკრეცია – შექსპირის პოემა.

# საღმრთო ნათელი

შემოდგომის ქარებს მიაქვთ –
ფოთოლი თუ სული
ტყის და მეტყევის.
ეპარება ჭალას ბინდი
და ბინდში ჭვრეტ საღმრთო
ნათელს,
ისე, როგორც ბასილ დიდი,
სვიმეონ ღვთისმეტყველი.

1991

# ბილიკი

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო„
გრ. ორბელიანი

პატარა ბილიკს მისდევდი,
რომელიც ათასწლეულის
წინ
გაგინათა ფარტაზმა.
და... ის პატარა ბილიკი
ბოლოს გადიქცა
ფართო გზად.

2001

***

ბინადრობდა ზეცაში,
ოქროს მნათთა მთესავი,
თან დასდევდა ავსულებს
ელვითა და ქუხილით.
ო, თუმც მასაც
დანტესავით
ჯოჯოხეთიც უხილავს.

2002

## აიეტის კოლხეთი

(ვარიანტი)

მირიადი ღამის იქით,
ჭვრეტ –
ევქსინის პონტოს ფსკერზე,
ჰელიოსის მზე ირწევა...
აიეტის კოლხეთია
ვაჟა!
შენი ბედისწერა.

2012

# მისისიპი – მისურით

რადგან შური და მტრობა –
დაჯეგვე და
დარაგვე,
ცის კიდემდე მისული.
და ახლა კი შენია:
დედა-მტკვარი –
არაგვით,
მისისიპი – მისურით.

2013

## სულის ფრთა

ისევ ისე ჰყვავიან
ცაში ოქროს ბაღები...
შენ ლოცვა არ გბეზრდება!
(რაც ლოცვაა, სულ ითქვა.)
და ცად ასამაღლებლად,
დღე-ნიადაგ გეზრდება
შიშისა და სულის ფრთა.

2002

## 1999 წლის 12 აგვისტო

ათასი წლის მერე,
12 აგვისტოს,
დაუძინარმა ფიქრმა პოეტის,
დიდგორზე ასვლა კვლავ დაიჟინა.
და როცა გაცდა მთას იაღლუჯის,
წამს,
მეფის სპათა ესმა ყიჟინა,
და... მახვილს ხელი მაგრად
ჩაბღუჯა!

1999

## ნოუმენს და ფენომენს

ყოფნასა და არყოფნას,
ებრძოლე და
ეძავე
და ბრმად აღარ ემონე,
რადგან თასში გრაალის,
ვით ცისკარში, ხედავდი
ნოუმენს[1] და
ფენომენს[2].

1978

[1] – ნოუმენი (ბერძ.) – ჩასაწვდომი, მისახვედრი.
[2] – ფენომენი (ბერძ.) – იშვიათი, უჩვეულო.

## ყულევსა და ქარიატას

წარსულიდან მოსული ქარია და,
        ხმა თათარ-ოსმალთა
                        ჩაესმის
ძილში, ყულევსა და ქარიატას.
წყალში თავს იხრჩობს ბორანი,
        თავს იკლავს ძაღლების
ღავღავი. მამლებმა ყივილის ზონარით
        ჩანიშნეს შუაღამე.
... საიდანღაც კოლხეთში მოსული,
        რაღაცნაირი ქარია და
აჟრჟოლებს ყულევს და ქარიატას.

1971

***

ძველ კოლხეთს არ განებებს
ავსული და
ავხორცი
ჟამი...
ბებერ ეშვებით,
სურს ყოველი წარხოცოს,
მაგრამ შენ „ფსალმუნებით„
წამით აღარ ეშვები.

1991

# ჭანები

იყო დრო, როს ჭანები
ქრისტეს რწმენის შემლახველთ
რომ უტეხდნენ პანიკას.
დღეს „ალაჰი მფარველობთ“
ჭანებს...
ანუ ჭანიკებს.

1992

# ლიხს – აქეთ და ლიხს – იქით

წარსულ დღეთა ქარს მოაქვს
სევდიანი არია,
მთის წყაროთა ლიკლიკი:
– ორივ ჩემი მხარეა,
ლიხს – აქეთ და
ლიხს – იქით...

1971

## ვერლენი და მალარმე

სიმბოლისტებს მზე –
სიმბოლოდ,
და პარნასის დიდი მთები.
მათი ხსოვნა ალალ – მე:
ბოდლერის და არტურ რემბოს,
ვერლენის და
მალარმეს.

1965

## აღდგომის კუნძული

ცხრა მთის,
ცხრა ზღვის და კიდევ
იქიდან,
კვლავ სიხარულის მოჰქრის არავი.
საუკუნეებს უთრთის ბაგენი:
– მხოლოდ შენ ერთმა,
და სხვამ არავინ,
მძინარე კოლხეთს რომ მიაგენი.

1969

## ცისფერყანწელები

პონტოს ზღვაზე აფრებ
                    გაშლილთ,
ედოთ ხელი პეგასების –
        ოქროსფრთიან აღვირზე –
        იაშვილს და
                გაფრინდაშვილს,
და ორივე ტაბიძეს.

1963

# მექაცა და გალილეაც

თუმცა გწყალობს ქრისტე ღმერთი,
მაინც,
ქვეყნად გასაჭირი,
არ იქნა და არ ილევა...
პოეზია არის შენთვის –
მექაცა და
გალილეაც!

1969

## ტობანიერს,
## ხორგას,
## ჩარგალს

წარსულიდან მომავალი,
ვინც ჩაივლის ფხოვს
და ხეთას.
და წიგნებში თავს თუ ჩარგავს,
მაშინ უცხო მზე დახედავს:
ტობანიერს,
ხორგას,
ჩარგალს.

1966

## გალაკტიონი

ამბობენ პეგასს მიაჭენებდა,
ხელი ედოო ოქროს
აღვირზე,
არ უყვარდაო გზები იოლი!
არ უსმენდაო მიეთ-მოეთებს
და აღარც ვაჟა,
და არც გოეთე,
სულ სხვა იყოო გალაკტიონი.

1959

***

მამის წაბლის ოდა სახლს,
ოქროს წინა კბილივით,
აკლდა ერთი კრამიტი.
და ეძებდა მას წვიმა,
ნორჩი და
მიამიტი.

1957

***

ფაზისთან და ენგურთან,
ტიგროსთან და
ევფრატთან –
კლავდნენ...
წვავდნენ...
გესლავდნენ...
(თუმც არ იყო უძლური).
კოლხი მაინც ხარობდა,
შორს აღდგომის კუნძულის
იქით...
„თესლით თესლამდე!“ (დაბად.)

1972

***

დაუშრია გველეშაპს
არაგვიც და
ენგურიც
და წუხს მიწა ქართული,
მტრისგან გადაქელილი...
გადაჰყურებ ბრძოლის ველს,
ცხენზე ამხედრებული
მეფე –
ფარსმან ქველივით.

1992

***

ჰომეროსის ხმა ისმის, –
დანტეს „ჯოჯოხეთიდან“,
შოთას „ვეფხისტყავიდან“
ტატოსი და ვაჟასი
(სხვათა ჟამმა დანაყა!)
შენი –
ტაშით,
ვაშათი,
მათ ხმას ერთვის ამაყად.

1993

***

ცხოვრება თურმე თამაშია,
              ზოგჯერ ნიღბით და
ზოგჯერ უნიღბოდ.
შენ ვერ გუობდი ვერასდროს ნიღაბს.
აი,
    ამიტომ გახდი უიღბლო,
და მიტომ დარჩი
              ცხოვრების მიღმა.

1998

***

სანამ დაფნის შეკრავ ულოს,
და მანამ დიდ სამსჯავროზე
შენს პერსონას წარუდგენენ –
სასრულში ჭვრეტ უსასრულოს,
წამიერში –
მარადიულს,
და მედინში –
წარუდგენელს.

1978

## უცნობი

არვინ უწყის ამქვეყნად,
საიდან ხარ მოსული,
შენ,
პატრონი „კოლხური
ფსალმუნის“ და „ეფუთის“.
და ქვეყნად შენ გეკუთვნის –
ჯერ სხვათაგან „უცნობი“ –
სამყარო –
ჯადოსნური.

1997

## ვარსკვლავთა ფესვებშია მიმალული

ცა არის ჩემი სამოსახლო,
ჩემი დედული და
მამული.
    და ვინმემ ხელი რომ არ ახლოს,
ქართული სული –
გრაალივით,
    ვარსკვლავთა ფესვებშია მიმალული.

1979

***

გეიმედება ქრისტე,
თუმც ათასი წელია
გტანჯავს მისი დუმილი.
სპირიტივით სულს მისდევ
და მიწაზე ჩამოგყავს
იგი –
მედიუმივით.

2010

# იშ-ჩელმა და იცამნამ

მიღმა ათასწლეულთა,
შენს ცას ლოცვით
მოსავდნენ
ღმერთები და...
ამიტომ,
შენც კოლხ ღმერთად გიწამა,
ამაქვეყნად მოსვლამდე
იშ-ჩელმამ[1] და
იცამან.[2]

1973

---

1,2 – მაიას ხალხის პანთეონის – დამწერლობის, მეცნიერების, მედიცინის მთავარი ღმერთები.

# თბილისი, 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერი

აირია მონასტერი,
ვერ არჩევენ ფქვილს და
ქატოს.
        მარტია თუ ნოემბერი!
აღარა ცნობს ძაღლი
პატრონს,
        დგას ქაოსი ნოემდელი!!!

1991

# ელია და ელისე

ბრუნავს ჟამთა მორევი,
	მწუხრი ისევ ელის მზეს.
შენ თაყვანს სცემ
ორივეს –
	უფლისაგან ხელდებულს –
ელიას და
		ელისეს.

1980

***

ისევ მაღლდები დილის მზესავით,
ამაქვეყნიურ სიავკარგის
პატივისმცემელი.
ინიციაცია ქმნილი,
ისე ვითა
იოანე ნათლისმცემელი.

1964

## ფისტიკაური

„ასი ათასი“,
 „გარეთ ატლასი“
და სტრიქონები სხვა უცნაური,
 რომელთა ფერი ადევს ურთხმელის.
სახელს ატარებს „ფისტიკაურის*“
 და ნაკალმარს კი მოჰგავს
რუსთველის.

1961

---

* ფისტიკაური – ლექსის სახეობა, რომელიც ვიღაც „ფისტიკას“ სახელთანაა დაკავშირებული

***

პონტოს ზვირთების ქუხილი –
ესმოდა კოლხთა ლაღადად...
თუმც ჟამმა თვალი არიდა.
იგი მოვიდა ბარიდან
და მთად,
ვით ვაჟა, ამაღლდა.

1999

# კორიბანტებს, ქურიტებს და ტელხინებს

კრეტაზე და არკადიას,
      ფოლადი და ჭედეს რკინა.
და ებრძოდნენ ქარტეხილებს...
აი, ახლა,
      დავიწყებით აწვიმთ წვიმა:
კორიბანტებს[1],
      ქურიტებს[2] და
            ტელხინებს[3].

1969

,2,3 – ხალიბთა (ქართველთა) კრეტული შტო (III ათასწლეული)

***

ვარსკვლავების ჩაქრა კვარი,
    მთებს დაედოთ ფერი ნაცრის;
შორით ისე მოჩანს მთვარე,
თითქოს-და ცის –
                    შავ კედელზე,
წარმართს მიუხატავს ცარცით.

1960

## ტატო და ეღგარი

დაჩხაოდა თავს ყორანი,
აქ – ტატოს და
იქ – ედგარს.
ჰელიკონის მთას ტორს სცემდა
მერანი.
შენ კი, ჩემო,
გიგანტების მხრებზე შემდგარს,
ვერ წაგაქცევს ვერავინ!

2013

# “ოქროს საწმისი“ და “ეფუთი”

(ვარიანტი)

ლეგენდების და მითების
ოქრო და ვერცხლში
შეფუთვნილს –
მწამს, კოლხეთი ძეგლს დაუდგამს:
„ოქროს საწმისს“ და
„გრაალის“,
„კოლხურ ფსალმუნებს“ და
„ეფუთის“.

2014

***

ვითა სუფრა გაწყობილი,
მოლივლივე ზღვა
წინ მიდგას
და ნიავი უნანავებს,
ნაპირებთან მშვიდად
მიმდგარ,
სპეტაკ ბაბთებიან ნავებს.

1956

## ეგროსის საფლავი

დღეები გარბიან კისრისტეხით,
ალარ იციან მოცდა.
და მე,
მივიწყებულ წინაპრებს,
უნდა აღვუვლინო ლოცვა.
ეგროსის საფლავი –
ეგრისშია,
ჩე გოლას დათოვლილ ბორცვთან.

1963

## კულტურა ელ. ობეიდის

სიმართლის და სამართლის,
აღარა სურს ზოგს გამხელა;
რადგან გზები შორეთს მიდის...
ქალდეველთა ჰგავს ნახელავს
კულტურა –
ელ. ობეიდის*.

1981

---

* ელ. ობეიდის კულტურა (მესოპოტამია) IV ათასწლეული

## ძველი ქართული ენა

„აქადის ძეგლწერაში“ ეძებენ,
ვითომც შორს სადღაც
ეგულვით.
„მოყვრებმა“ იციან და...
მალავენ,
რომ „ძველი ქართული ენაა“ –
მეგრული.

1969

***

ღამის ფსკერზე დარჩენილ
ხსოვნის მცირე დიუნებს,
ერთად გადაუვლიდა
სამუმიც და ბორიაც...
მღვრიე ასწლეულები ჩაივლიდნენ
თარეშით...
ნეტავ,
თუ იქნებოდა კოლხთა
პრეისტორია,
ასე საინტერესო –
ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების„
გარეშე?!

1998

# კოპალა

დევებს ქალი რომ მოპარა,
      სახელი მით მოიხვეჭა...
და მეც მივალ,
ვით კოპალა,
      დევების ამოსაწყვეტად –
ახალგორსა და
            იხინჯას.

1966



## სურვილი

რომ პოეზიაში,
ქართულ სიტყვის ხოდაბუნს,
მე ვთესდე და
მე ვმკიდე! –
(რადგან ისევ ბევრია სათქმელიც და
უთქმელიც)
მე, ვით მცოდნე სამართლის,
ვით სამართალ მემკვიდრე –
დიდი შოთა რუსთველის.

1967

***

(ვარიანტი)

შენც ისე, ვითა ხვთისშვილმა,
ქაჯავეთს გამოაღვიძე
ქართულ მითებში მძინარი,
სამი ტყვედქმნილი ქალწული:
აშექალი და
მზექალი,
ასევე – მზე – სამძიმარი.

1966

***

რბიან ათასწლეულები...
                    გუშინ იყო,
ახლა, აგერ...
        რას იქმნ... ვიღაც პირს არიდებს,
ქართულ სიტყვის –
ქვებით ნაგებ,
        შენს „ფსალმუნთა“ პირამიდებს.

1994

## მედეა და ქალკიოპე

აიეტის ასულებმა
          ვნება ველარ დაიოკეს:
ხსოვნა ათასწლეულების
          თითებივით გაილოკეს...
და მითიდან ხელს გვიქნევენ –
მედეა და
          ქალკიოპეც.

1962

## ხახმატისა და გუდანის

ცა არის უფლის ნახატი
და როცა არაგვს აუვლი,
ხმა ჩაგესმება ხახმატის[1],
უკანა ფშავთან გუდანის[2],
პირქუშის[3],
წყაროსთაულის[4].

1963

1,2,3,4 – ხვთისშვილები

## პოეზიის ციხე-ქალაქები

მთის ბილიკზე –
ღრუბლის ლურჯი ფთილები,
გაუშლია მოყვავილე იებად –
„მთვარეს ჯიხვის რქებიანს“.
ღამის ცაზე –
რომ ბრწყინავენ მთიები,
პოეზიის ციხე-ქალაქებია.

1964

# ტროული და პელაზგური

ათასწლეულების მერეც,
ყველაფერი ჩანს
ვით სარკე:
– ვინ დამხვდური,
– ვინ მოსული –
მას „კულტურა“ ჩუმად არკვევს,
ტროული და პელაზგური,
კოლხური და მინოსური.

1966

## პეტრარკა და ბოკაჩო

ჟამთა ნაცარწაყრილი –
ძველ კოლხური დიდება,
გსურს, რომ აქეთ მოქაჩო,
ისე, ვითა პეტრარკამ
და ჯოვანი ბოკაჩომ.

2011

## ანტოლიას და ფრიგიას

იყო დრო,
როცა დარი დარობდა,
და დარი ედგათ ყველგან
მზის შვილებს*.
ოქროს ვერძი კი ოქროს ბღაოდა,
კოლხური ვარდი მზისებრ
ჰყვაოდა –
ანატოლიას და ფრიგიას.
მას შემდეგ ჩავლილ საუკუნეთა
მოკლე კი არა,
გრძელი რიგია...

1973

* მზის შვილები – იგულისხმება მზის ღმერთის, ჰელიოსის ნაშიერები

***

*მინაწერი პროფ. მერი ბადრიაშვილის*
*წიგნზე – „პოეტის კვართით დაბადებული“*

...მერე ავაზაკები წილს
შენს „კვართზე“ იყრიან.
მათ დარჩებათ ცოდვები,
რაც რომ შენ დაიკელი.
რადგანაც შენ გიპყრია
ხელთ „სიკვდილის კლიტენი“.

1999

## კიპარისები

ათიათასი იდუმალებით
და შიშით სული
ისევ ივსება.
სავსეა კითხვით მოკვდავთ თვალები:
– იქ,
მშვიდი ძილი ვის ელირსება?!
– აქ კი,
ჩვენს ძვირფას მიცვალებულთა
ხსოვნად ანთია –
კიპაროსები.

1963

## დიდი პოეტი

დედამიწაზე ველარ ეტევა,
ეძახის სივრცე და
ხეტიალი –
ფრთებს გასაფრენად გაშლის...
დიდი პოეტი –
როდესაც კვდება,
ის იბადება მაშინ!

2010

## წიგნის – "ოქროს საწმისის" კითხვისას

ღამე წყვდიადს მოუცავს,
ემატება ზღვებს – ზღვები.
აღარ წყდება კოლხეთით –
არგოს ქროლა ქარული.
საიდანღაც ხმა ისმის –
ავი კინოკეფლების*,
მძვინვარ ამორძალების,
კაცისმჭამელ ცხენების –
შიშისმგვრელი თქარუნი.

1966

* კინოკეფალი – ძაღლისთავიანი კაცი

***

აღმოსავლეთ –
              დასავლეთით
მსურს, რომ მარად მზე დიოდეს...
ელვარებდეს ქვეყნის არე
    და უნთებდე სანთლად დღეებს –
ჰომეროსს
          და
             ჰესიოდეს,
რუსთველს,
             დანტეს
                      და პინდარეს.

1960

***

ღიმილი ედგა ცას ჰელიოსის
	და აღარ ჩანდა ღრუბლის
ნასახი.
შორით მოჩანდა აიეტის ოქროს
	სასახლე –
ოქროს ბუმბერაზ კლდეში ნაკვეთი;
მივედ და ფიქრით,
	ოქროს კარებს დავუკაკუნე,
მაგრამ არავინ გამომხედა
		სასოწარკვეთილს.

1968

## სამოთხეა სოფელი

პირველს არა,
გზას დაეძებ მესამეს,
ამქვეყნიურ ტანჯვის
უარმყოფელი.
არვინ გიშლის ბნელ ქუჩებში
ხეტიალს...
ხმა მოგძახის: სამოთხეა
სოფელი,
ქალაქი კი – წმინდა ჯოჯოხეთია.

1964

# ატლანტის ოკეანე

ეს იყო ჩვენთვის ომეგაც,
ალფაც,
ათასწლეულთა ფიქრს რომ ვატანდით:
არც ჰელესპონტი,
არც ევქსინი
და აღარც ცალფა[1],
შავი ზღვა ყოფილა ადრე –
ოკეანე ატლანტის.

1960

[1] – ცალფა, ჰელესპონტი, ევქსინის პონტო, შავი ზღვის ძველი სახელწოდება

## ეკლეპტიკი

ალარ გეკარება ტყვია,
თუმც სიმძიმე გაწევს ტყვიის.
ვარდს თესავ და
ეკლებს იმკი.
და...
ქართული პოეზიის,
შენა ხარ წრე-ეკლეპტიკის.

2012

# ჩარგალში

ფეხშიშველა ბილიკები,
        ბალღებივით ერთურთს
მისდევს...
ლოცვა ისმის მთიდან უფლის
მონათა.
        და... ვით იოანემ ქრისტე,
დიდმა ვაჟამ შენ
        არაგვში მოგნათლა.

1962

## V, IV ათასწლეული

მითებს და ლეგენდებს ვერიდე,
        მაგრამ ქალდეველთა
ჰყვაოდა ქალაქი:
ური და ურუქი,
                კიტი და ერიდუ,
ნიპური,
        ლარსა და
ლარაქი.

1972

## მთვარე – ქარონი

აქვეა პონტოც და
ფაზისიც,
    პალიასტომი და მალთაყვა...
მითიც და ლეგენდაც
ულევი...
        მთვარე – ქარონია,
რომელსაც
მიცვალებულთა სულები
        ცის იქით გადაჰყავს.

1960

## ენკენის თვე

ახლა ზაფხულის არის დამლევი
და ჭრიჭინები –
　　　　　　მინდვრებს ართობენ...
სიფხიზლის ტოტზე შემომსხდარი
　　　　　　გუნდი მამლების –
ისევ ყივილის ცეცხლზე
ათბობენ
　　　ღამის შავ-ქვაბში შედედებულ
ცას და მნათობებს.

1972

**გუდანს,**

**ხახმატს,**

**ბაცალიგოს**

„უჟამო ჟამმა“ ფხოველებს,
ის უზოძა, რაც არ იყო!
და უბრძანა სოფლად მოცდა.
და... ისმოდა წარმართთ ლოცვა –
გუდანს,
ხახმატს,
ბაცალიგოს.

2011

## აქაველთ და აქადებს

რადგან ჟამი უჟამო,
ჭვრეტს პროფილით,
ანფასით,
აქაველთ თუ აქადებს.
და მან იცის რამდენი –
მკვდარი ათასწლეული
წევს იქიდან –
აქამდე!

1974

## ძეგლი

მსურდა და ველარ მივუსწარ!
აწი კი რაღას ველი!
„ძეგლი ავიგეო“ – თქვა
ჰორაციუსმა*... და,
პუშკინმა მოაწერა ხელი!!!

1964

* ჰორაციუსი – რომაელი პოეტი (ძვ. წ. 65-8 წწ.)

***

ზესკნელში და ქვესკნელში
        დაფრენ დაუბრკოლებრივ,
რადგან ღმერთმა გიბოძა,
        ჭიანჭველას ღონე და
დიდი გული კოლიბრის.

1962

## მარებს და მაკრონებს

ათასწლეულთა –
ბინდ-ბუნდში,
ფაზისთან,
ვუხმობ და ვეძახი მარებს[1]
და მაკრონებს[2] –
მძლეველებს უთვალავ ავთვალთა,
ავსულთა.
გმირ წინაპართა სულებმა დაგვტოვეს?!
არა, აქ არიან,
არსად არ წასულან!

1966

---

1,2 – კოლხური (ქართველური) ტომები

## ხილვა: ქრისტე ზეთისხილის მთაზე

ანთებული სანთლით ხელში, დღეები
კვლავ ერთურთს მისდევს
და ნურავინ გაიოცებს,
რომ მუხლმოყრით ვხედავ ქრისტეს
ზეთისხილის მთაზე –
მლოცველს.

1976

## შენ ხარ ვენახი

ქართულ ცას მოოქროვილი
შვენის ვარსკვლავთა რიკული,
ავთვალს
რომ აღარ ენახვის.
ლოცვის ჭიგოზე მიკრული –
შენა ხარ
„მორჩი ვენახი“.

1962

**შატილი**

დავიწყებაში
რომ ყრია,
　　　ნაშალი მაღალ ციხეთა,
შევდგები იქ შავ ლოდებზე
　　　და საქართველოს წარსულში –
ამაყად გადავიხედავ!

1964

## ზევსო, პელაზგთა უფალო

არ წყდება სიკვდილის თარეში,
სიცოცხლეს,
სიკვდილი თან ახლავს,
ან ცეცხლი ვინ სთქვა უკვამლოდ,
წარსული,
მომავლის გარეშე –
„ზევსო,
პელაზგთა მკვიდრო და
უფალო*!“

1976

---

* ჰომეროსი – „ილიადა“

## ქართული ალფავიტი

(ვარიანტი)

ვითაც თაფლი იელის,
              უცებ დამათრობელი,
წარღვნამდელი სურნელი
              უდის არა „ფინიკურ“,
ამ ჩემს ქართულ ალფავიტს.
კოლხეთია ყოველის მშობელიც და...
                        საფლავიც!

1974

# ქარი და ნიავი

ციცქნა ტალღას ნისლის ფთილა
          ნაპირ-ნაპირ სადღაც
მიაქვს,
          მერე სადღაც სევდად შლის.
ზღვა კი ელის ქარს და
ნიავს –
          მკაცრ და ლამაზ –
დედა-შვილს!

1964

***

სიყვარული ცეცხლი და ღადარია...
ცხოვრება მაინც იმედია,
რომელიც სიყვარულმა გადარია
(სამი ათას ხუთასი წლის მერე)
კოლხეთი ელოდება
იმ მედეას!!!

1961

## ისრაელში

მირონად სდის იორდანე
და ღრუბელი,
ვით დემონი,
თავზე ისევ დასტრიალებს
მთებს –
სინას და ხერგონის,
ზეთისხილს და თაბორის
(თავიანთი გორებით)
და ცაში კი მოჩანს მთვარე,
ვით იუდას ამბორი
და ან ნაამბორები.

1962

***

მივალ ბარისახოში
          და ვით ბრძენი ხევსური,
ბილიკს მივსდევ ლეგენდის.
და საშველად მოვუხმობ –
          კოპალას და იახსარს,
რომ ცხრათავა დევების
სისხლი
          კლდეებს მიასხა.

1966

## ხილვა: ენქი და ზისუდრა

კაცთა მოდგმას გადარჩენის
      არ უტოვებს ღმერთი იმედს,
და ცა შავად შეისუდრა.
      ვხედავ: წარღვნის მომლოდინე
იქ – ენქის[1] და
            აქ – ზისუდრას[2].

1967

[1] – ენქი – ღვთაება შუმერულ პანთეონში.
[2] – ზისუდრა – ბიბლიური ნოე.

***

ათასწლეულების გრგვინვით,
თუმც გასულა დრო მრავალი,
მაინც,
როგორც მზე ღამეში,
კოლხეთის დიდ წარსულში თვლემს
საქართველოს –
მომავალი!

1989

# ეფუთი და თალმუდი

კეთილს სძლია ბოროტმა
და სამყარო სნეული
გადაიქცა ეწერად –
„თალმუდში[20]“ ის სწერია,
რაც რომ ათასწლეულის
წინ,
„ეფუთში[21]“ ეწერა!

1966

---

20 – „თალმუდი“ (ბერძ.) – სწავლა, მოძღვრება (ძვ. წ. IV ს.)
21 – „ეფუთი“ – უძველესი კოლხთა ბიბლიამდელი ყოვლისმომცველი წიგნი, სადაც ნაწინასწარმეტყველები იყო სამყაროს დასასრული (IV ათასწლეული).

***

სხვა არაფერი,
ისტორიის მახსოვრობა –
ვარსკვლავებია!

1961

# ქასქები და მუსკები

კუმმუხებს[22] და ალაძებს[23],
შიშით გული უსკდებათ,
როცა ხმები მოესმით:
თუბალ[3] – ტაბალების[4] და
ქასქების[5] და
მუსკების[6].

1966

---

1,2, – ასურეთის მოხარკე ტომები.
3,4,5,6 – ქართველური ტომები.

***

სამშობლო არის ოქრო და ვერცხლი,
მის გარეთ ვერვინ
                    ვერაფერს ჰპოვებს,
ვერც უკანონოდ და ვერც
კანონით!
    ხელმწიფის ნავში რა უნდა პოეტს,
თუკი იქცევა ნავი
                    ქარონის.

1960

***

ვარსკვლავებით მოდარაჯე –
აჭრიალებს
დამის კარი,
მოთმინება ჩანს იობის.
მზეს ელის და
ფხიზლობს მთვარე
და ცა მოჰგავს სანთიობოს*.

1962

---

* სანთიობო – ახალდაქორწინებულთა სრა-პალატი.

***

გაარცოცხლე და...
ვით მაგალითი,
ეგროსის ეგრისს ძეგლი აუგე –
ოქროს ზოდებით,
განა ფიცრებით.
და „ფსალმუნებით“ თავზე ევლები...
ერთ მშვენიერ დღეს,
როცა უცებ გარდაიცვლები,
მითხარი, ჩემო!
ქუჯის ეგრისს
რა ეშველება?!

1974

# ვით ან მარე

კოლხეთის შორ წარსულიდან
მოვედი და...
ვით ან მარე,
ავმაღლდები და მიწაზე
არ დავრჩები.
და დავტოვებ ჩემს სამარეს,
შემცბარსა და
პირდაბჩენილს!

1963

***

ის კი იცოცხლებს
ათასწლეულებს,
　　　მაგრამ მგოსნისთვის
შენ,
სამოცი –
　　　აღარ გებევროს!
ღმერთთა საუფლოვ –
　　　　　　ცაო ბებერო.

2001

## ხმა

საიდანღაც ხმა ისმის
ღმერთკაც პეტრე იბერის:
– ნუ აშინებთ მოკვდავებს
სიკვდილი და
სიბერე.
ანდა აპოფატიკური –
უფლის შიში,
ან პირიქით,
სილამაზე ანტიკური.

1964

***

ვით დაამშვენებდა მშობლიურ –
ფართე ქუჩებს და
მოედნებს,
        უფლის ნაძერწი სხვა სახე.
და უმასპინძლებს პოეტებს:
        ასი წლის შემდეგ კოლხეთში,
„კოლხურ ფსალმუნთა“ –
                        სასახლე.

1992

# აშურ-ნასირ-აბალი

ასურეთის მიუვალ
სალ-კლდეებზე ლურსმულით
სწერია,
ვით ამბავი:
მუსრი როგორ გაავლო –
კოლხ ოცდაოთხ ხელმწიფეს!!!
აშურ-ნასირ-
აბალიმ*.

1966

* აბალი – ასურეთის მეფე (885-860 წწ.)

***

ჩემს ყოფნის ცაზე
          როს ცისარტყელა
დაეკიდება დაჭრილ ვენებით.
     როცა არყოფნის წამი იელვებს
და მოვა იგი –
რაშის ჭენებით,
               მაშინ რაღა ვქნა!
ხელცარიელი,
ჩემს დიდ წინაპრებს –
               ვით ვეჩვენები?!

2014

***

ზღვას გაჰყურებს...
და კოლხეთი,
        შორეთიდან ისევ უხმობს –
მარებსა და მოსინიკებს.
მათთან ერთად,
            ფრანგს კი არა,
კოლხ-ბასკ ღმერთკაცს,
ნაპოლეონ ბონაპარტეს –
                დიდ კორსიკელს.

1967

## "გეები" და "ჰომოსები"

არ აწუხებთ ქართული
სინდისი და ნამუსი,
მოგანატრებთ სიკვდილსაც,
მათი თვალის შევლება!!!
„ინგლისურად" სულწამხდარ –
„გეებსა" და „ჰომოსებს„
ნეტავ, რა ეშველებათ!

2012

***

ამ ცისქვეშეთში მდგარმა დარაჯად,
მოულოდნელად ჟამი იხელთა,
და იქ ზღვისკარად,
სადაც იდგა ჩემი ჯიხური,
მარადისობამ ერთი წამით
შემოიხედა,
მნახა და...
უცებ კარი მიიხურა!

2014

***

ვითარცა ქართვლის წარსული,
მღვრიე ზვირთები მიგორავს
და კვლავ მეტეხის ციხესთან –
მტკვრის ხმა და ოხვრა გაისმის.:
– ო, რა ტკბილია –
დიდგორი,
და რა მწარეა –
კრწანისი.

2013

***

მოულოდნელად დატოვებს
სულს,
როცა ხორცის სიმძიმე,
ველარ გიშველის „ოთხთავი*“,
მოფრინდებიან ღვთისშვილნი
და ყვავილებით მოგრთავენ,
ლურჯ ფრთებზე დაგასვენებენ
და... ატირდება,
ვით მისხი,
ცაში ვარსკვლავთა ციმციმი.

1979

* „ოთხთავი“ – სახარება (იოანე, ლუკა, მათე, მარკოზი)

## ფაზისს,
## იყალთოს და
## გელათს

ჰკითხეთ პროკლე დიადოხოსს:
– კარდუხ პეტრე არეოპაგელს,
ფერი რატომ ადევს მგლური,
ან წარსული რატომ ღელავს:
ფაზისს,
იყალთოს და
გელათს.

2014

## თარჩია

მწუხარ დღევანდელობას,
მიღმა ათასწლეულთა,
ყოფნა ისევ არჩიე,
რადგან ძველი კოლხეთის
შენ ხარ დიდი მედროშე,
მეალმე –
მეთარჩიე*.

1964

* თარჩია – ერქვა ოდიშში (სამეგრელოში) ცხენოსნობის ერთ-ერთ უძველეს სახეობას.

## ვითარც მეფე მიდასი

მივიწყებულ კოლხეთის
      წარსულიდან მოგესმის,
კოლხთა ოხვრა,
გოდება...
      და დრო მალავს თარიღებს.
შენ,
ვით მეფე მიდასი,
      რასაც ხელში აიღებ,
აქცევ ოქროს ზოდებად.

2012

***

სანამ ათასწლეულები
      რაინდ შუმერ კორიბანტებს*,
მფლობელთ ქვეყნის
      მთა და ველთა,
ომით დაამუნათებდა,
      მანამ წყვდიადს უნათებდათ
მზე –
      წინაპარ ქალდეველთა.

1979

---

* კორიბანტები (ბერძ.) – ფრიგიელი ქურუმები, ქალღმერთ კიბელას მსახურნი



## გრიგალი ზღვაზე

ვითარცა მაშინ,
დიდი ხნის წინათ,
ზღვა ისევ ღელავს...
ისევ წვიმაა...
ქარია და...
ზვირთები თითქოს რომაელთა
ლაშქარია და...
ტანში აჟრჟოლებს ფაზისს,
ყულევს და
ქარიატას!

1960

## ქრისტეს მოსვლამდე

საქართველოს ხვთისშვილნი,
სიყვარულით მოსავდნენ,
რადგან ქვეყნად ქართველი
იყო სულ ქრისტიანი,
ბევრი ათასწლეულის
წინ,
თვით ქრისტეს მოსვლამდე!

1969

***

კვლავ ბარბაცებს სამყარო,
თითქოს მზე დაელიოს!
ოცი საუკუნეა,
ქალდეველი ქრისტე რომ
უხმობს მამა –
ჰელიოსს.

1966

# ქართველთა სიბრძნის წყარო

პირველყოფილ ქვეყნად როცა
ყოფნა ჭირდა,
          იყო მაშინ მოწინავე...
და ახლა კოლხს,
          ქალდეველთა სიბრძნის
ჭიდან,
კვლავ ამოაქვს სიბრძნის წყარო,
          ლაზ-მეგრული გონის
ძველი ოწინარით.

1978

## “გრაალის მცველ რაინდთა ორდენი”

(ვარიანტი)

ჟამი კი ათასწლეულებს –
 ცხვრის ფარასავით მოდენის...
და ვით „გრაალის რაინდთა“,
ასევე „კოლხურ ფსალმუნთა“,
 თავს მოიწონებს „ორდენი“.

1999

## “ხელის მტევნის“ წარწერა

წარღვნას გადარჩენილმა,
ათას ქარში ნარწევმა,
შენ,
კოლხმა წაიკითხე –
ნაბუქოდონოსორის –
დარბაზის ლურჯ კედელზე,
„ხელის მტევნის“ წარწერა*.

1969

* „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“ და... იმავე ღამეს ქალდეველების მიერ მოკლული იქნა მეფე!!!

## ხილვა: ნოეს კიდობანი

ცა მრისხანებს...
ბაბილონი,
ნაფოტივით სადღაც მიაქვს
პელაგონს –
წყალდიდობას.
და კოლხეთში – ჩე გოლასთან
შემდგარს –
მტრედის მომლოდინეს,
ვხედავ ნოეს კიდობანს.

1991

## ანანურის ციხესთან

ეხვეოდა მუმლი მუხას,
ხევსური კი, ვით სალი კლდე,
იდგა მაღალ მთათა ფარად
და უკან არ იხევდა.
მიტომ ახლაც ესმის არაგვს –
ხმლის ჟღარუნი
ანანურის ციხესთან.

1963

## ხილვა: კოლხები და ქალდეველები

ვინც ორ წარღვნას გადაურჩა
(აქეთ-იქით, ელე-მელე)
და ცოცხალი ვინც გადარჩა.
ვხედავ: კოლხებს,
ქალდეველებს,
სხვა ხალხი კი,
იმ დროს არ ჩანს!

1971

# ფშავი ქალები

ნურვინ იფიქრებს წასწრებას
    (აქ უნდა ითქვას მართალი) –
ღამე წვებიან წაწლებთან,
    დღისით ფარტენას მართავენ,
და მერე ფშავლის ქალები
    მატყლს მთვარის გვერგვზე
ართავენ...

1961

## პოეზია საზეპურო

მაღალი და ღვთაებრივი
სიყვარული,
ვისაც შვენის,
ვისაც სურს, რომ მარადისად
მზეს უყუროს...
უნდა ჰქონდეს საგზლად შენი –
პოეზია საზეპურო.

2009

## ქალდებს და აქადებს

არვინ იცის, რამდენი –
        მკვდარი ათასწლეული
წევს იქიდან –
აქამდე!
        მხოლოდ ისღა იციან,
რომ ერთი ცა ეხურათ
ძმებს –
        ქალდებს და აქადებს!

1977

***

ადამის ძეთა სისხლით გალეშილს,
არა გაქვს თოფი,
არც იარაღი,
მაგრამ სულ ისმის შენი თარეში...
სიცოცხლე ქვეყნად მართლაც
არ ღირს,
ეჰა,
სიკვდილო,
მწამს, შენს გარეშე!

2013

***

სადღაც დასალიერში –
        წყვდიადი და ნათელი
ერთმანეთს კვლავ ერთვიან
            და ჭირს ამის ატანა!
თუმც გვერდი-გვერდ სახლობენ –
სიცოცხლე და სიკვდილი,
            ღმერთიცა და სატანაც.

1989

## ორფეოსის ხმა ისმის

შორეული მითიდან –
    ორფეოსის ხმა ისმის...
შვენის ოქროს პორფირი –
    კოლხური მზით შემოსილს,
ეაგრის ძის ნაშიერს,
    უფრო სწორად ეგროსის.

1972

# ინგური – ინგირი – ენგური

ენქის[24] – („ეა[25]“-ს და „აია[26]“-ს)
        ხსოვნა ჩემში კვლავ იელვებს,
რადგან მისი ვარ ერთგული!
        ფიქრში ვხედავ „აიელებს[27]“ –
ქვეყნით,
         ტაძრით და
ენგურით[5].

1979

---

24 – ენქი – „ეა“ და „აია“ ხალხის ღვთაება
2,3 – „ეა“, „აია“ – ქალაქი, სახელმწიფო (ძვ. წ. XXII – XXI სს.)
26 – „აიელები“ – აია ხალხის შთამომავალნი
27 – ინგური – ინგირი – ენგური პირველი (ისტორიაში) კოლხური (ქართული) ტაძარი პალესტინაში

armazi da kodmani

წამს,
 მყინვარი გაკრთება,
ვით ნოეს კიდობანი,
კოლხეთისკენ მავალი...
 მერე მცხეთის სანახებს
ვითა მტრედი ფრთამალი
 მკერდზე დააფრინდება
არმაზი და
  კოდმანი.

1966

# ქალდანებს და ქარდავებს

დიან ათასწლეულები
და ავლებენ ჩემს კოლხეთს –
ლეგენდების არშიებს...
დროს მზის გვერგვზე ართავენ.
ხუთი ათასწლეულის სიშორიდან
„ქალდეა*“,
უხმობს თავის ნაშიერს:
ქალდანებს და
ქარდავებს.

1989

* ქალდე – (შუმ.) – მთვარის ღვთაება

## სვასტიკა

ომის შემდგომ სვასტიკა,
ისე, ვითა ქოლერა,
ძილს გიფრთხობდა სასტიკად,
რადგან გულს გიკორტნიდა –
მისი ყორნის სიშავე!
მაგრამ, თურმე, ყოფილა
ის –
მზის ხატის ნიშანი.

1961

## ათანასა,
## სოფრო,
## ეთმე

ოცი საუკუნის წინათ,
მყინვარივით გაყინული
კოლხთა ძველი ისტორია,
ოცი საუკუნის შემდეგ,
ვინცობაა,
იქნებ შეთბეს:
და თვის კოლხეთს დაუბრუნდეს:
ათანასა[28], სოფრო[2],
ეთმე[3].

1960

1,2,3 – იერუსალიმში მოღვაწე კოლხი (ქართველი) სასულიერო მწიგნობარნი

## ენგური

ახალშობილ სამყაროს,
უპირველეს მლოცველად
ევფრატისპირ ამაყად
იდგა, როგორც ებგური.
მერე კოლხებს,
კოლხეთში,
ლოცვასავით ჩამოჰყვა –
ენქიცა და
ენგურიც.

1969

***

ბაბილონი დაეცა და...
urartu მტერს ვერ აკავებს,

შიშის ზარი იტანს ველებს
და ხეთაში აკანკალებთ:
კოლხებს,
ხეთებს*,
მიტანალებს.

1962

* ხეთა – პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში

***

თუმცა შუა ზამთარია,
დარი დარობს
დარიალს.
ამოვარდა გრიგალი
და კვლავ არივ-დარია
დღე...
ძაღლს ვერ ცნობს
პატრონი,
რადგან იგი მკვდარია.

1961

## ნერეიდა, თემიდა

ისტორია,
ო, ზოგჯერ,
სინათლეს თვალს არიდებს
და არ ამბობს სიმართლეს:
რომ ძველ კოლხთა თემიდან
არის ვესტაც[1],
ნერეიდაც[2],
ქარიტაც[3] და
თემიდაც[4].

1964

1,2,3,4 – ბერძენთა და კოლხთა ღვთაებები

## კოპალას ქვასთან

ზღაპარში მათ...
        ფშავ-ხევსურთა,
არაგვი სისხლად
შესვეს და...
    ძვლებიც ერთიან მოხოცეს.
და ისმის კოპალას ქვასთან
    მთვრალი დევების ხორხოცი.

1961

## სოდომ-გომორი

დაემტერა დანა-სისხლად,
და უფალმა ადამის ძეს
შეურყია სიმყუდროვე!!!
და ვინაც რომ იგი იხსნა,
ქალდეველი იყო ნოე.

1979

## კირკე-ნანა-რეა კიბელა

მითისა და ლეგენდის
აფრიანი ხომალდი
იქ –
თქმულებად დაება,
სად ფაზისის ტალღები –
მძვინვარ პონტოს ერთვიან.
კირკე – ნანა – კიბელა
ერთია...
და კოლხების
იყო დედა – ღვთაება!

1979

***

მთიები, ვით ანგელოზნი,
ციდან მოთვალთვალენი,
სიყვარულის მთებს იტევენ,
ვით ელია თეზბიტელის*
საკვირველი ხალენი.

1993

* ელია თეზბიტელის ხალენი (მოსასხამი) ქრისტეს კვართთან ერთად ასვენია მცხეთაში

***

საიდანღაც ხმა ისმის
	რაბინდრანათ თაგორის:
– ყველანი იქ მივა,
	სად, ზოგს ბრაჰმა მიელის,
ზოგს ვიშნუ
		და შივა.

1982

# კარიელი, პელაზგი და ლელეგი

ათასწლეულები იარა და,
მორჩა წუხილის ელეგია.
აწ სულს კოლხურ ცას
მივაბარებ,
რადგანაც ჩემი წინაპარი,
ვიცი,
ეგვიპტელი კი არა და,
კარიელი[1],
პელაზგი[2] და
ლელეგია[3].

1973

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები

***

სიშორითა და ღამით დაღლილი,
ცად ვარსკვლავები
თვალებს ახელენ.
ასწლეულები გდევენ ხმაურით...
ხარ ოკეანის გადამლახველი, –
„შვიდი გზის ნაცადი –
მეზღვაური“.

2007

## ჩემს კოლხეთს წარსული მოპარეს

არ ჩანს ფრინველი მომავლის,
მტრის წისქვილს წყალს ასხამს
„მოყვარეც“!!!
მომაკვდავს აწ რაღა ვუსურვო!
ჩემს კოლხეთს –
წარსული მოპარეს,
კოლხეთი დატოვეს უსულოდ!

1971

***

შენი
რწმენის მინდორზე
        ხარობს უცხო ყვავილი...
გწამს,
        უფალი გიშველის!
და...
ზღვაზე ფეხშიშველი,
        ქრისტესავით გაივლი.

1961

# მგლის,
# რემისა და რომულის

ახლა მიწა რომ ცახცახებს,
მიწისძვრა ნუღარ გგონიათ!
ცოდვაა, ზნედ რომ მოუვლით.
ზოგჯერ ელვა რომ გაკრთება,
ის ელვა არა,
ხსოვნაა,
კაცთაგან მივიწყებული მგლის,
რემისა და რომულის.

1963

***

რადგან ქვეყნად მოვედით,
ჩვენ ვართ უფლის იმედად,
თუმც ზნეს გვიცვლის
მარტივით,
რთული სიმარტოვე და,
და სირთულე მარტივი.

1967

## დნმ

ნუ იჩემებს მზის შვილობას,
და ზოგ-ზოგი ცისქვეშეთში,
თვალს ცრემლით ნუ იოსებს.
დროა! მოკვდავთ მოტყუება
რომ შეწყვიტონ ენებმა!
მე, კოლხი ვარ,
და შვილი ვარ ჰელიოსის,
ხელთ მაქვს ამის –
„დ (ე) ნ (ე) მ(ა)*“

1965

---

* „დნმ“ – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (უჯრედის ბირთვში არსებული ნუკლეინმჟავა)

**ბაირონ!**

**ემერსონ!**

**შელი!**

ჰიმალის მთებს მიღმა
მზე ჩადის,
განგი კი ზვირთების კამათლებს
ცივ სიმარტოვეში აგორებს
და ღამეს ფიქრებში შველის.
განგიდან ჭაბუკი თაგორის
ხმა ისმის:
ბაირონ!
ემერსონ!
შელი!

1969

## ჰენიოხნი, ტაოხნი

პონტოს სანაპიროზე –
ბრძოლით გულს იოხებენ:
მესხები[1] და
მოსხები[2],
ჰენიოხნი[3], ტაოხნი[4],
კოლხებ[5] – დიაოხები[6].

1979

1,2,3,4,5,6 – პროტოიბერიული ტომები

## მოლოდინი

სიხარული აწვიმდეს –
	ლამაზ დღეებს აწინდელს.
ცა ედგას მზის მთოველი.
	ივერიის ღვთისმშობლის
ხატს დღითი-დღე მოველით,
	რომ მისი წილხვდომილი
საქართველო გაბრწყინდეს!

1971

***

ლოცვის მაღალ ტაძარში,
სადაც ღამეს –
                    დღე ათევს
და სადაც ცას მთიები
      სიყვარულით შეშლიდნენ!
განვლე კიბე მეშვიდე
      და ჭვრეტ ოცდამეათეს*!

1976

* სულიერი კიბე 30-საფეხურიანია.

# მიშტეკებს, ტოლტეკებს, აცტეკებს

პროფ. მერი ბადრიაშვილს

იქ,
ამერიკაში კოლხურად,
როდესაც „მაიას“ ახსენებ,
საფლავში ნეტავ რად
აყრყოლებთ,
ან ხსოვნა ასე რად აცეტებთ:
ოლიმპებს[1],
მიშტეკებს[2],
ტოლტეკებს[3],
აცტეკებს[4]?

1999

---

[1,2,3,4] – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები.

***

ვითარც ხალიბურ ოქროს სატევარს,
შენ, ქართულ სიტყვას პირი ულესე,
ახლა დიდებას რომ გპირდებიან
და...
პოეზიის ხარ ჰერკულესი,
შენი ლექსები –
ოქროსფრთიანი
სტიმფალიდებია.

1986

# “ადამის ტომთა“ შთამომავალი

უშიში იყო, ვითა უხორცო,

არ ეშინოდა მეხის და

ჯვარცმის

და ის ცხოვრობდა, როგორც მრავალი

სხვა...

და ღმერთივით ის იყო კაცი,

„ადამის ტომთა“ –

შთამომავალი.

1979

## სიბრძნის წიგნი "ეფუთი"

მოუშვია ბებერ ჟამს
დავიწყების თმა-წვერი,
კისრისტეხით წასულა
საუკუნე რამდენი...
მათ ახსოვთ და იციან,
რომ ქართველებს ეკუთვნით
ოქროდ ნაძერწ-ნაწერი,
ეჰეი!
ბიბლიამდელი –
სიბრძნის წიგნი „ეფუთი“.

1961

## მუშაირა

ოქროს ფრთებით პარნასზე
დვრიტა შენ აიტანე.
და შენ გათრობს სურნელი
კოკორ-ვარდის შირაზის.
აი,
ახლა გულდაგულ,
მცირეთ არა,
ტიტანებს,
იწვევ მუშაირზე.

2014

***

ადამის არა,
შენ ხარ მზის შვილი,
გაჩენის დღიდან –
ღმერთთან საუბრობ...
კოლხთა სულისდგმავ!
არა კელტების.
ცა მრგვალია და უფლის საუფლო,
შენ ცის ჩარჩოში
ვერ ჩაეტევი!

1993

***

იცოცხლე,
რომ ძვირფასია,
კარგის
კარგი მოგონება,
მაგრამ ზოგ-ზოგ ულიმღამო –
„ჩანაწერებს“,
„დღიურებს“,
ერთი ლექსი ჯობია,
თუნდაც სულ უდღეური.

1990

***

კოლხეთია ქვეყნად ყოფნის
საწყისი,
მერე იქით –
　　　　　მიდია და ხეთია...
კბილი მოგვჭრა ჩვენ წინაპრის
„ნაყოფმა“,
　　არ ვეშვებით მაინც ცაში ხეტიალს.
არვინ უწყის –
　　　　　　　გასაგისი არყოფნის,
და...
ყოფნა კი დანტეს
　　　　　　　„ჯოჯოხეთია!“

1971

## ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლავედი

ვხედავ! –
პოეზიაში,
ღობე-ყორეს ედები
და ქათქათა ქაღალდი –
კალმის წვერით გაწურე...
მაინც აღარ გწყალობენ –
თანავარსკვლავედები:
მარჩბივი და კირჩხიბი,
ვერძი,
კურო,
მერწყული,
არც ლომი, არც ქალწული.

1991

## ქრისტე და აბრამი

რადგან იყვნენ ურიდან,
ამიტომ ჰურიათა
ამოა მცდელობა!
ისე, როგორც აბრამის,
წყალი აღარ გაუვა
ქრისტეს ქალდეველობას.

1971

# მეფეები და ბეგები

კოლხეთს ჰყოლია მეზობლად,
კარგებიცა და ავებიც,
მეფეები და ბეგები.
სხვების რომ იყოს კოლხეთი,
ზედაც არ შემოგვხედავდნენ!!!
და ჩვენ კი, საცოდავები,
ყველას –
ფერხთაქვეშ ვეგებით!

1969

# მთები

დუღს კულტურა „მტკვარ-არაქსის“,
რამაც ათასწლეულების
        ფიქრის ქინქლა დამასია...
დგანან მთები მხედრებივით:
(დრო აცვიათ, ვით ჯავშანი)
ერჯიშიმთა[1],
                თეჯერის მთა[2],
თამარმე[3] და ამასია[4],
        დედამთა[5] და ჭილობის მთა[6],
ორთაყვის მთა[7] და
                თავშანი[8].

1982

---

1,2,3,4,5,6,7.8 – მთათა გეოგრაფიული სახელები მცირე აზიაში

## ხეთი, შუმერი, მიდიელი

ნაკვალევს ათასწლეულის,
ფაზისს და ხეთას
მივსდიე...
და შორს ვხედავ ერთი-ასად:
ხეთს,
შუმერსა და მიდიელს!
და... მიტომ ვეძებ
ხეთასთან.

1969

## რენესანსი

ზესკნელის და
ქვესკნელის –
მალამოა იარის
და ათასჯერ ასია –
„კოლხური ფსალმუნები“,
მეთოთხმეტის კი არა,
საუკუნის მეოცის,
წმინდა რენესანსია*.

1993

---

* რენესანსი (ფრანგ.) – მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავების ხანა – XIV-XVI სს. (იტალია)

## კაცობრიობა

შარშანდელი არ ახსოვს!!!
რა კაცის ცხოვრება –
ლოცვა,
ყოფნა იობად?!
რაღა მოეთხოვება –
მახსოვრობა დაკარგულ
და ბნელ კაცობრიობას!

1973

## მიკვე

ალუვლენდი ლოცვას უფალს
და შორიდან ხელს გიქნევდა
ღმერთი ნიკე.
რადგან პონტო იყო შენთვის
სიყვარულით სავსე –
„მიკვე*“.

1993

* მიკვე (ებრ) – განსაწმენდელი აუზი.

***

ყოველთვის,
ჟამს მიმწუხრისას,
    შოორეული კოლხთა მოდგმა,
ვითარც ატლანტის ფსკერიდან,
        შავი ზღვიდან,
წინაპართა,
    ვისმენ ტირილსა და მოთქმას.

1967

## კარდუ[1]

ჰელიოსის[2] ციდან მოხველ,
მღვრიე ათასწლეულებმა
სიყვარულის სხივით გმოსეს.
რადგან შენ ხარ –
კოლხ-იბერთა რჯულმდებელი,
ვითარც ებრაელთა მოსე[3].

1969

[1] – კარდუ – კოლხთა (ქართველთა) – ეთნონიმი.
[2] – ჰელიოსი – მზის ღვთაება.
[3] მოსე – ძველ ებრაელთა ბელადი.

***

ჟამი ათასწლეულთა
    სიცოცხლის ხეს არხევდა
და ცვიოდა დღეები –
    უშქარი და ურიცხვი...
ხმა ისმოდა კოლხური,
    სანამ ერთი მურიცხი,
ცაში თვალს გაახელდა.

1978

# თალმუდი და თორა

როცა უფლის შიში იგრძნეს,
მაშინ რწმენა გაიტაცეს
და ისინი იქცნენ ქორად.
ქალდეველთა[1] ახლავს სიბრძნე
მოსეს „თალმუდსა“ და
„თორას“[2].

1979

[1] – ქალდეველები – ქართველური ტომები ბაბილონის პროვინციაში (ძვ. წ. აღ. VII ს.)
[2] – თორა – იუდაიზმის წმინდა, კანონიკური ტექსტი 5 წიგნად (ძვ. წ. აღ. IV ს.)



* * *

როდესაც ხსოვნა წარსულს
შეუვლის,
ნახავს:
სულს ლაფავს,
ეჰ, რამდენი ათასწლეული
და ხმა მოისმის მღვრიე მტკვრიდან
და არაგვიდან:
– მხოლოდ სამშობლო! –
სხვა არა გვინდა!

1966

## ხილვა: პოსეიდონი და კლიტო

ფაზისის და პონტოს პირას,
საცხოვრისი იყო კოლხთა
და მათი ძის დევ-გმირ ქართუს.
ზღვის ხმაურში ახლა მიტომ
ვჭვრეტ ოჯახურ დავით გართულს –
პოსეიდონსა[1] და
კლიტოს[2].

1971

[1] – პოსეიდონი – ზღვის ღმერთი
[2] – კლიტო – პოსეიდონის ცოლი

* * *

ფაზისის და პონტოს პირას
    თლიდი ლერწმის სალამურებს...
მერე წელი,
ერთი არა,
        ათჯერ ათას ორასი,
წერდი „ოქროს ასოებით“,
შენ
    შენს „კოლხურ ფსალმუნებს“,
ისე, ვითა ხორაქსი.

1996

## იბერია – IV ს.

იბერიას ტკივილები –
        წამით ველარ მოუშუშა –
საურმაგმა[1],
        ვერც არშუშამ[2]!
სპარსთა მეფე შაბურმა კი
ქვები ქვებზე არ დატოვა,
        ბალავარზე არც აგური.
მერე მეფის ტახტზე დასვა –
ბედოვლათი ასპაგური.

1993

[1] – საურმაგი – იბერიის მეფე (IV ს.)
[2] – არშუშა – ქართლის პიტიახში (IV ს.)

## აპოლონმა მოგცა ლირა

მოსულს კოლხურ მითებიდან,
აპოლონმა მოგცა ლირა,
ჰერკულესმა თიკუნები.
ავად ხდები ლექსით ხშირად
და ლექსითვე –
იკურნები.

2013

# ეფუთი, გრაალი, საწმისი

*„ოდესღაც კოლხებს დამწერლობა*
*უნდა ჰქონოდა“.*
*ჰეროდოტე*

შუამდინარეთია კოლხეთი
ფაზისითა და ენგურით.
აქაა სამყაროს საწყისი...
შავი ზღვის,
შავ ფსკერზე
მეგულვის:
გრაალიც[1],
ეფუთიც[2],
საწმისიც[3].

1971

---

1,2,3 – ბიბლიამდელი კოლხური (ქართული) მითიური წიგნები

## უძილაურთა

არა ჩანს გმირი კოპალა,
ავსულებმა კი ფშავლები
მოსრეს და სულ ამოხოცეს!
მიტომაც არაგვს ხმა უთრთის.
და ისმის დევთა ხორხოცი
მთის წვერზე –
უძილაუროის.

1963

## მაკრალეზს და ჰალიძონეზს

არ იცოდნენ მზის შვილებმა[1],
რომ ცხვრის ფარა,
მგლის ხროვასთან
ერთად
არსად არ იძოვებს.
და... ბერძნები მუსრს ავლებდნენ –
ტიგროსის და ევფრატის პირს –
მაკრალებს[2]
და ჰალიძონებს[3].

1979

[1] – მზის შვილები – იგულისხმება ჰელიოსის ძის – აიეტის შთამომავალი
2,3 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები

***

ინათა...
          ალბათ,
მალე მამლები
ყივილის ორლესულებს ალესავენ.
          და ვხედავ – გომურთან
თეთრი გოგრა,
          ჰკიდია ქათქათა მთვარესავით.

1959

## რაფაელის მადონებს

ახლაც,
დიდი ხნის მერეც,
ქართვლის ლამაზმანები
ისევ ისე მაგონებს:
ვინჩის[1] „მონა ლიზებს“ და,
რაფაელის[2] „მადონებს“.

1989

[1] – ლეონარდო და ვინჩი: მონა ლიზა, მონა ლიზა ჯოკონდა.
[2] – რაფაელი : მადონა ღრუბლებში, მადონა მწვანეზე, მადონა ჩიტბატონებით, მადონა თევზით, მადონა დიორენტიკლი, მადონა საჩრდილობელში, მადონა კონესტაბილე, სიქსტინის მადონა

## ქრისტეს,
## შივას და ვიშნუს

ქროდნენ ასწლეულები
ისე, ვითა წამები...
თაყვანს სცემდნენ უფლისგან
ცისქვეშეთში დანიშნულ
სამსახოვან სამებას:
ქრისტეს,
შივას და
ვიშნუს!

1981

## 15 მაისი

რადგან ყოფნა ყოველთვის,
აქ არყოფნას გიშლიდა,
მაინც ოჩოკოჩივით
ტყე-ტყე დააბოტებდი...
ვილაც სულ მოგკიოდა:
თხუთმეტ მაისს იშვი და...
თხუთმეტ მაისს მოკვდები*.

2015

* გენიალური იტალიელი მხატვარი რაფაელი 6 აპრილს იშვა და 6 აპრილს გარდაიცვალა.

## ათონის და სინას მთის

ასწლეულთა იქიდან –
ნათელს რეკენ ზარები –
ათონის და
სინას მთის:
– მოკვდავთ სულ ეშინოდეთ –
ღმერთისა და
სიმართლის!

1991

# აპენინის ნახევარკუნძული

ეტრურია[1] ბერძნებმა
        შებოლეს და
შეტრუსეს,
        მერე მუსრი გაავლეს
კელტებსა[2] და ვენეტებს[3]
        (მათ მეფეებს ვერ ენდეს!)
ახლა მიტომ დავეძებ:
        კორსიკაში კოლხებს და
სირაჯუზე – ეტრუსკებს.
1981

---

[1] – ეტრურია (ძვ. წ. VI ს.) – იყო დღევანდელ ტოსკანის ადგილზე.
2,3,4 – კელტები, ვენეტები, ეტრუსკები – კოლხთა ქართველთა) შორეული მონათესავე ხალხი.

***

მეცხრე იყავ და
რჩები მეცხრედვე
და გემონება დრო და მანძილი.
მნათთა სიშორით თვალი
გევსება!
რას იქმნ...
ბევრს ღამით აღარ აძინებს
და ძილს უფრთხობენ
შენი ლექსები.

2014

## ძეო ზევსის

კოლხო! –<br>
ყოველგან შენი ხმა მესმის, –<br>
ზევით და ქვევით,<br>
მარცხნივ და მარჯვნივ.<br>
სამყაროს ფარავს შენეული<br>
სიმღერის ვარჯი;<br>
ფიქრმიუწვდომელ –<br>
სიღრმეში გაქვს<br>
გადგმული ფესვი.

2014

**პირქუში**

წყაროსთავს,
როდესაც ფშაველნი
ღრეობდნენ...
ქვაბს თავი ახადეს,
წამს იძრა დევების ლაშქარი
და ომი დაუწყეს ახადელთ
(ხევ-ხუვი სისხლით კვლავ
ივსება).
მაგრამ შამაღოს გორიდან
დევნ მოსრეს –
პირქუშის ისრებმა.

1977

## აცტეკებს, მაიას და ინკებს

ათასწლეულთა უდაბურ შარაზე,
სიკვდილი სად დაეწიათ?!
– ყომრალმა ფიქრებმა ამიკლეს:
სად გაქრნენ,
რა ბედი ეწიათ –
აცტეკებს[2],
მაიას[1]
და ინკებს[3]?!

1971

1,2,3 – ამერიკის აბორიგენი ტომები, რომლებმაც შექმნეს განვითარებული კულტურა და სახელმწიფოებრიობა

## “ვანის წარწერები”

ვხედავ –
ათასწლეულები,
კოლხეთის დიდ ისტორიას
პონტოს ზღვაში არწევენ..
და ტალღები კითხულობენ
„ვანის“ –
ქართულ წარწერებს.

1969

**სარჩევი**

შესავალი ....................................................................5
ქრისტეს ბოლო სიტყვები – „ელი, ელი, ლიმა საბაქთარი“..........................................25
დრო – ენგურივით მარადმედინი....................26
ჟამი უჟამო....................................................................27
მედიუმი........................................................................28
33....................................................................................29
ალკეოსი, საფო, ანაკრეონტი.............................30
ერთგულება....................................................................31
სიცოცხლე....................................................................32
*** (სადღაც ფეხის ხმა ისმის ქარიშხლის).............................................................33
ვით აქილევსმა...........................................................34
ვით მენცარი დანიელი.............................................35
*** (უფლის ხელით დარწეული).......................36
ყაყაჩოებიანი ფერდობი მანგლისში...............37
ვიკინგების ხომალდივით.......................................38
მოყვავილე ბროწეულის ხე ზღვისკარად...............................................................39
ნიკოლო მაკიაველი......................................................40

პოეტია?! რას ბრძანებ!......41
ისევ მოლოდინი......42
*** (ეჰა)......43
*** (შორეულზე)......44
*** (მწუხრი ცის ძელზე)......45
*** (ჩემს თავზე შავმა ღრუბლებმა)......46
*** (წინაპართა ნაყოფს იმკის)......47
ამუნდსენ და ნობილეს......48
მარტყოფში......49
ხმელთაშუაზღვისპირეთი – VIIIს......50
რომი, V საუკუნე......51
მახვილი მესიის......52
*** (უძველესი კოლხეთის)......53
ძე და შვილი ამონის......54
*** (დრო ყოფილა)......55
სერენადა......56
*** (წყვდიადთან ომებით დაღლილი)......57
ალფავიტი......58
*** (უჩონჩხოს და უგულოს)......59
ნოე......60
ორფეოსს......61
*** (კვდება და ცოცხლდება)......62

*** (მთელი ღამე ვარსკვლავები).....................63
*** (პირს ვერ ვუხსნი წარსულს დანით)..64
მზე და მთვარე ფანჯრებია.................................65
ფსიქე...........................................................................66
მუშაირა.....................................................................67
ფსალმუნი და პეონი..................................................68
ადერკი........................................................................69
ქარიტები ...................................................................70
*** (მიღმა სინათლის ათასწლეულთა).......71
მდენარი......................................................................72
*** (მრისხანე ჟამი პრეისტორიის).................73
ლუკრეცია და ტარკვინიუსი ..............................74
საღმრთო ნათელი.......................................................75
ბილიკი.......................................................................76
*** (ბინადრობდა ზეცაში)....................................77
აიეტის კოლხეთი.........................................................78
მისისიპი – მისურით ..................................................79
სულის ფრთა...............................................................80
1999 წლის 12 აგვისტო...........................................81
ნოუმენს და ფენომენს...............................................82
ყულევსა და ქარიატას..............................................83
*** (ძველ კოლხეთს არ განებებს)................84

ჭანები ....................85
ლიხს – აქეთ და ლიხს – იქით ....................86
ვერლენი და მალარმე ....................87
აღდგომის კუნძული ....................88
ცისფერყანწელები ....................89
მექაცა და გალილეაც ....................90
ტობანიერს, ხორგას, ჩარგალს ....................91
გალაკტიონი ....................92
*** (მამის წაბლის ოდა სახლს) ....................93
*** (ფაზისთან და ენგურთან) ....................94
*** (დაუშრია გველეშაპს) ....................95
*** (ჰომეროსის ხმა ისმის) ....................96
*** (ცხოვრება თურმე თამაშია) ....................97
*** (სანამ დაფნის შეკრავ ულოს) ....................98
უცნობი ....................99
ვარსკვლავთა ფესვებშია მიმალული ....................100
*** (გეიმედება ქრისტე) ....................101
იშ-ჩელმა და იცამნამ ....................102
თბილისი, 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერი 103
ელია და ელისე ....................104
*** (ისევ მაღლდები დილის მზესავით) ....................105
ფისტიკაური ....................106

*** (პონტოს ზვირთების ქუხილი)..................107
კორიბანტებს, ქურიტებს და
ტელხინებს.........................................................108
*** (ვარსკვლავების ჩაქრა კვარი)...................109
ტატო და ედგარი.............................................110
„ოქროს საწმისი“ და „ეფუთი“...........................111
*** (ვითა სუფრა გაწყობილი)............................112
ეგროსის საფლავი.............................................113
კულტურა ელ. ობეიდის...................................114
ძველი ქართული ენა........................................115
*** (ღამის ფსკერზე დარჩენილ)........................116
კოპალა...............................................................117
სურვილი...........................................................118
*** (შენც ისე, ვითა ხვთისშვილმა)...............119
*** (რბიან ათასწლეულები...)..............................120
მედეა და ქალკიოპე..........................................121
ხახმატისა და გუდანის...................................122
პოეზიის ციხე-ქალაქები...................................123
ტროული და პელაზგური...............................124
პეტრარკა და ბოკაჩო.........................................125
ანატოლიას და ფრიგიას..................................126
*** (...მერე ავაზაკები, წილს)..............................127

კიპარისები ........ 128
დიდი პოეტი ........ 129
წიგნის – „ოქროს საწმისის“
კითხვისას ........ 130
*** (აღმოსავლეთ) ........ 131
*** (დიმილი ედგა ცას ჰელიოსის) ........ 132
სამოთხეა სოფელი ........ 133
ატლანტის ოკეანე ........ 134
ეკლეპტიკი ........ 135
ჩარგალში ........ 136
V, VI ათასწლეული ........ 137
მთვარე – ქარონი ........ 138
ენკენის თვე ........ 139
გუდანს, ხახმატს, ბაცალიგოს ........ 140
აქაველთ და აქადებს ........ 141
ძეგლი ........ 142
*** (ზესკნელში და ქვესკნელში) ........ 143
მარებს და მაკრონებს ........ 144
ხილვა: ქრისტე ზეთისხილის მთაზე ........ 145
შენ ხარ ვენახი ........ 146
შატილი ........ 147
ზევსო, პელაზგთა უფალო ........ 148

ქართული ალფავიტი............................................149
ქარი და ნიავი..............................................................150
*** (სიყვარული ცეცხლი და
ღადარია...).....................................................................151
ისრაელში.......................................................................152
*** (მივალ ბარისახოში).......................................153
ხილვა: ენქი და ზისუდრა...................................154
*** (ათასწლეულების გრგვინვით)................155
ეფუთი და თალმუდი...............................................156
*** (სხვა არაფერი)....................................................157
ქასქები და მუსკები....................................................158
*** (სამშობლო არის ოქრო და
ვერცხლი).......................................................................159
*** (ვარსკვლავებით მოდარაჯე)......................160
*** (გააცოცხლე და...)..............................................161
ვით ან მარე..................................................................162
*** (ის კი იცოცხლებს)...........................................163
ხმა .....................................................................................164
*** (ვით დაამშვენებდა მშობლიურ).............165
აშურ-ნასირ-აბალი ...................................................166
*** (ჩემს ყოფნის ცაზე)..........................................167
*** (ზღვას გაჰყურებს...) .......................................168

„გეები“ და „ჰომოსები“ ......................................... 169
*** (ამ ცისქვეშეთში მდგარმა დარაჯად) 170
*** (ვითარცა ქართვლის წარსული) ............ 171
*** (მოულოდნელად დატოვებს) ...................... 172
ფაზისს, იყალთოს და გელათს ........................ 173
თარჩია ................................................................... 174
ვითარც მეფე მიდასი ............................................ 175
*** (სანამ ათასწლეულები) ................................ 176
გრიგალი ზღვაზე ...................................................... 177
ქრისტეს მოსვლამდე ............................................. 178
*** (კვლავ ბარბაცებს სამყარო) ..................... 179
ქართველთა სიბრძნის წყარო ............................ 180
„გრაალის მცველ რაინდთა ორდენი“ .......... 181
„ხელის მტევნის“ წარწერა ................................. 182
ხილვა: ნოეს კიდობანი ......................................... 183
ანანურის ციხესთან ............................................... 184
ხილვა: კოლხები და ქალდეველები ............. 185
ფშავი ქალები .......................................................... 186
პოეზია საზეპურო ................................................... 187
ქალდებს და აქადებს ............................................ 188
*** (ადამის ძეთა სისხლით
გალეშილს) ............................................................... 189

*** (სადღაც დასალიერში)......190
ორფეოსის ხმა ისმის......191
ინგური – ინგირი – ენგური......192
არმაზი და კოდმანი......193
ქალდანებს და ქარდავებს......194
სვასტიკა......195
ათანასა, სოფრო, ეთმე......196
ენგური......197
*** (ბაბილონი დაეცა და...)......198
*** (თუმცა შუა ზამთარია)......199
ნერეიდა, თამადა......200
კოპალას ქვასთან......201
სოდომ-გომორი......202
კირიკე – ნანა – რეა-კიბელა......203
*** (მთიები, ვით ანგელოზნი)......204
*** (საიდანღაც ხმა ისმის)......205
კარიელი, პელაზგი და ლელეგი......206
*** (სიშორითა და ღამით დაღლილი)......207
ჩემს კოლხეთს წარსული მოპარეს......208
*** (შენი)......209
მგლის, რემისა და რომულის......210
*** (რადგან ქვეყნად მოვედით)......211

დნმ ..........212
ბაირონ! ემერსონ! შელი!..........213
ჰენიოხნი, ტაოხნი..........214
მოლოდინი..........215
*** (ლოცვის მაღალ ტაძარში)..........216
მიშტეკებს, ტოლტეკებს, აცტეკებს..........217
*** (ვითარც ხალიბურ ოქროს სატევარს)218
„ადამის ტომთა“ შთამომავალი..........219
სიბრძნის წიგნი „ეფუთი“..........220
მუშაირა..........221
*** (ადამის არა)..........222
*** (იცოცხლე)..........223
*** (კოლხეთია ქვეყნად ყოფნის)..........224
ზოდიაქოს თორმეტი თანავარს-კვლაველი225
ქრისტე და აბრამი..........226
მეფეები და ბეგები..........227
მთები..........228
ხეთი, შუმერი, მიდიელი..........229
რენესანსი..........230
კაცობრიობა..........231
მიკვე..........232
*** (ყოველთვის)..........233

კარდუ ....................................................................234
*** (ჟამი ათასწლეულთა) ...................................235
თალმუდი და თორა ..............................................236
*** (როდესაც ხსოვნა წარსულს)..................237
ხილვა: პოსეიდონი და კლიტო .........................238
*** (ფაზისის და პონტოს პირას) ...................239
იბერია – IV ს. .......................................................240
აპოლონმა მოგცა ლირა ......................................241
ეფუთი, გრაალი, საწმისი ....................................242
უძილაურთა ..............................................................243
მაკრალებს და ჰალიმონებს ..............................244
*** (ინათა...) ..............................................................245
რაფაელის მადონებს ...........................................246
ქრისტეს, შივას და ვიშნუს ..............................247
15 მაისი ....................................................................248
ათონის და სინას მთის ........................................249
აპენინის ნახევარკუნძული .................................250
*** (მეცხრე იყავ და) ..........................................251
ძეო ზევსის ..............................................................252
პირქუში .....................................................................253
აცტეკებს, მაიას და ინკებს ...............................254
„ვანის წარწერები“ ...................................................255

## მადლობა

„ქართული მწერლობის" 100-ტომეულის ავტორს, ქართული პოეზიის რაინდს, [illegible] [illegible], საქართველოს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible], 3-ე ტომს [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] 100-ტომეულის [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

პატივისცემით,

PRESIDENT
KNIGHT OF GEORGIAN POETRY
ACADEMICIAN RESEARCHER
VAZHA
EGRISELI
400276296

2020 წ.

**ვაჟა ეგრისელი**

# კოლხური ფსალმუნები

**100 ტომად**
**ტომი 15**

**VAZHA EGRISELI**
**“KOLKHURI PHSALMUNEBI”**
**ONE HUNDRED VOLUME**
**VOLUM 15**


გამომცემლობის რედაქტორი – **იზა ხარებავა**
მხატვარი – **სპარტაკ ცინცაძე**
მხატვრული რედაქტორი – **ირაკლი უშვერიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ნანა დუმბაძე**
კორექტორი – **იამზე რობაქიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ნანა და დათო ყანდაშვილები**

გამომცემელი – **ზურაბ დოლბაია**

**ფასი 20 ლარი**

**თბილისი**
**2020**

გამომცემლობა „უნივერსალი“



თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com